

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის  
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

## **დავით ხარაბაძე**

### **დედა ენის შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: განათლების აკადემიური დოქტორი,  
პროფესორი - აკაკი ზოიძე

ბიჭაური

2021

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი დედა ენის შემეცნებით და აღმზრდელობითი მნიშვნელობის წარმოჩენასა და მის პრაქტიკაში დანერგვას ეძღვნება.

უდიდესი შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს იაკობ გოგებაშვილის უკვდავ დედა ენას. 145 წელია ულევო სიყვარულით იფურცლება უკვდავების ნაზიარები, ანბანის სახელმძღვანელოების შედევრი დედა ენა. დრო კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის მის სიდიადეს. მადლიერმა ქართველმა ერმა საოცრება წიგნს ძეგლი დაუდგა. ფასდაუდებელი განძი დევს მასში. იგი არამხოლოდ პატარების, არამედ მთელი ხალხის სახელმძღვანელო გახდა.

ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი, მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის დედა ენას ხელში პირველად აიღებს, აიღებს გადაშლის და თითქოს ისევ დაიბადო - ამ სამზეოს, უცებ სხვაგვარად რომ დაინახავს და დაინახავს, სხვანაირადაც გაიაზრებს, წერდა დემნა შენგელაია. აკაკი წერეთელი კი ამბობდა: იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის დედა ენაზე არ აეხილოს თვალები. იგი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას.

დედა ენა მთელ საქართველოში და არა მარტო საქართველოში, დიდსა და პატარას, ახალგაზრდასა და მოხუცში ნერგავდა და ნერგავს ცოდნისადმი ღრმა ინტერესს და მისწრაფებას, ამაღლებს ხალხის წიგნიერებას, კულტურას, აფაქიზებს მის ზნეობას, აღვივებს პატრიოტულ გრძნობას და ნერგავს უკეთესი მერმისის რწმენას.

კვლევის მიზანია გავარკვიოთ, რამდენად აქტუალურად და ეფექტურად გამოიყენება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დედა ენა და რაოდენ მნიშვნელოვანია მისი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ნაშრომში გაანალიზებულია დედა ენაში შეტანილი მხატვრული ნიმუშები. ყურადღება გამახვილებულია მასში წარმოდგენილი მრავალფეროვანი მასალის საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი თვალსაზრისით გამოყენებაზე.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს აღმზრდელობითი სწავლების განხორციელებას, მომავლის ღირსეული მოქალაქეების, გულანთებული პატრიოტების აღზრდას.

## Annotation

This paper deals with the "cognitive and educational significance of the mother tongue".

Iakob Gogebashvili's immortal "mother tongue" is of great cognitive-educational importance. For 145 years, the masterpiece of the textbooks of the alphabet "Mother Tongue" has been published with immortal love. Time makes its greatness even more visible. The grateful Georgian nation erected a monument to the book of wonders. Invaluable treasures lie within it. It became a guide not only for the little ones but for the whole people.

A Georgian man is born once, he is born a second time, when he takes Iakob Gogebashvili's "mother tongue" in his hands for the first time, takes it apart and pretends to be born again - this greatness suddenly he sees it differently and understands it otherwise. Demna Shengelaia wrote. Akaki Tsereteli said, "The whole of Georgia is covered with Iakob Gogebashvili's textbooks. Who is such a Georgian that he does not open his eyes to Iakob Gogebashvili's "mother tongue". It is worthy of the Georgian people to erect a monument in their lifetime. "

"Mother Tongue" instilled and instills a deep interest and aspiration for knowledge throughout Georgia, and not only in Georgia, young and old, young and, raising the literacy and culture of the people, awakening their morals, stirring patriotic feelings and instilling a better mermaid belief.

The aim of the research is to find out how actively and effectively "mother tongue" is used in the Georgian educational space and how important its cognitive and educational significance is.

The work analyzes the artistic works included in the "mother tongue". The focus is on the educational use of the variety of materials presented in it.

The results of the research will contribute to the implementation of educational training and the upbringing of worthy citizens of the future.

## სარჩევი

ანოტაცია .....	2
შესავალი .....	5
თავი I . იაკობ გოგებაშვილი-ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი	
§ 1. იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა .....	8
§ 2. დიდი პედაგოგის მოსაზრებები ახალი ტიპის ქართველის აღზრდის შესახებ .....	15
§ 3. იაკობ გოგებაშვილი - ენის ქომაგი .....	21
თავი II . დედა ენის შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა	
§ 1. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები .....	30
§ 2. დედა ენის ზნეობრივი გაკვეთილები .....	41
§ 3. იაკობ გოგებაშვილი და აჭარა .....	53
თავი III . მოსაზრებები დედა ენისა და ალტერნატიული სახელმძღვანელოების შესახებ	
§ 1. ზრუნვა დედა ენის დაცვისათვის .....	61
§ 2. საჯარო სკოლებში ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი .....	73

დასკვნები და რეკომენდაციები .....	80
გამოყენებული ლიტერატურა .....	84

### შესავალი

წინამდებარე ნაშრომი დედა ენის შემეცნებითი და აღმზრდელობითი თვალსაზრისით გამოყენებას ითვალისწინებს. მასში ვრცლადაა წარმოდგენილი მაღალი პატრიოტიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული მოზარდი თაობის აღზრდის გზები და საშუალებები, აქცენტი გაკეთებულია „დედა ენის“ დიდ საგანმანათლებლო და აღმზრდელობით მნიშვნელობაზე, მასში წარმოდგენილი მხატვრული ნიმუშების ზნეობრივ პოტენციალზე. გაშუქებულია მოწინავე მასწავლებელთა პედაგოგიური გამოცდილება. მათი ცოდნა, გათვალისწინება და პრაქტიკაში დანერგვა ქმედით დახმარებას გაუწევს როგორც სტუდენტებს, ასევე დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ნორჩი მოქალაქეების სულიერ ფორმირებაში.

კაცობრიობის მომავალი მთლიანად დამოკიდებულია მოზარდი თაობის აღზრდაზე, -ამბობდა ციცერონი, ხოლო ერის სულიერი მოძღვარი ილია ჭავჭავაძე გვმოდვრავდა: სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი.

დასახული ამოცანის განხორციელება სკოლის, მასწავლებლის უდიდეს ძალისხმევას, მიზანმიმართულ, კვლევა-ძიებით, რუდუნებით შრომასა და შემოქმედებას, პედაგოგის ოსტატობას მოითხოვს. სწორედ მასწავლებელი,

აღმზრდელი პირველ დღიდანვე უნდა დადგეს მოსწავლის გვერდში, გაუღვივოს მას ცოდნის წყურვილი, ამოგზაუროს დედაენის საოცარ სამყაროში, აგრძნობინოს მისი ხიბლი, შეაყვაროს მშობლიური ენა, მიწა-წყალი, ადამიანები, დედულ-მამული, აღზარდოს მომავლის ღირსეული მოქალაქე, ჭეშმარიტი პატრიოტი, ჰუმანისტი, შრომისმოყვარე, მეგობრული, სამართლიანი, ზნემაღალი, პატიოსანი, გულკეთილი, გულისხმიერი და სხვა მაღალადამიანური ღირსებებით შემკული ადამიანი. ყველა ამ და კიდევ ბევრი კარგი თვისების გამომუშავებაში კი კარგ სამსახურს გაგვიწევს ი. გოგებაშვილის უკვდავი დედა ენა.

### თემის აქტუალობა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ი.გოგებაშვილის დედა ენის საგანმანათლებლო, შემეცნებითი და აღმზრდელობითი მიზნით გამოყენება.

### კვლევის მიზანი:

შეისწავლოს და გამოავლინოს აჭარის საჯარო სკოლებში დედა ენის“სწავლების მდგომარეობა, ცხადად წარმოაჩინოს მასში შეტანილი მხატვრული ნიმუშების - ლექსის, მოთხრობის, იგავ-არაკის, ზღაპრის, აფორიზმების, ანდაზების, გამოცანების შემეცნებითი და აღმზრდელობით მიზნით ეფექტურად გამოყენების თანამედროვე მეთოდები, გზები და საშუალებები

### კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, პირადი ბიბლიოთეკა, ინტერნეტრესურსები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები.

### კვლევის მეცნიერული სიახლე

დედა ენის შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესწავლა, ანალიზი და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომში მასალები წარმოდგენილია სწავლების მეთოდების გამოყენების, კვლევის შედეგების აღწერის, რეკომენდაციების ნიმუშების სახით, რაც ამაღლებს მისი პრაქტიკული გამოყენების ხარისხს.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავალის, სამი თავის, რვა პარაგრაფის, დასკვნების, რეკომენდაციებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.



## თავი I

### იაკობ გოგებაშვილი - ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი

#### § 1. იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 27 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ ვარიანში. მისი მამა სვიმონი ამ სოფლის მღვდელი იყო, დედა - მაგდანა კალმახელიძე - ძალიან გულთბილი და შრომისმოყვარე ადამიანი ყოფილა.

იაკობის მამას სვიმონს სურდა, რომ შვილებიც სასულიერო პირები გამოსულიყვნენ, იაკობი კი დედასაც და მამასაც ბერად წარმოედგინათ. მართალია იაკობი ძალიან სუსტი ბავშვი იყო, მაგრამ მეტად ჭკვიანი, გამჭრიახი და მკვირცხლი გონება ჰქონდა. უამრავ ლოცვას, ლექსსა და საგალობელს ადვილად ითვისებდა. თანატოლებს იაკობი ძალიან უყვარდათ, რადგან ყოველთვის ნაირ-ნაირ მოთხრობებსა და ლექსებს უყვებოდა. მამისგან სიმღერის ნიჭიც დაჰყვა. პატარა იაკობს ძალიან უყვარდა სოფლის ბუნება. იგი საათობით აკვირდებოდა სხვადასხვა ყვავილებს, ცხოველებს, ანკარა მდინარეში მოფართხალე თევზებს. ალბათ ამიტომაც შეძლო შემდგომში იაკობმა, ასე საინტერესოდ აღწერა ეს მშვენიერი სამყარო ბუნების კარში. მაშინდელ დროში სოფლად სკოლები არ იყო, ბავშვებს წერა-კითხვას შინ ასწავლიდნენ, მაგრამ იაკობი იმდენად ნიჭიერი ბავშვი აღმოჩნდა, რომ ოჯახმა იგი ქალაქ გორში ჩაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. იაკობი მეტად ბეჯითი მოსწავლე გამოდგა, იგი ძალიან ბევრს მეცადინეობდა და მალე საუკეთესო მოსწავლე გახდა. იაკობს ძალიან აინტერესებდა საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ბევრს

კითხულობდა, ეცნობოდა საეკლესიო ისტორიასა და საღვთისმეტყველო წიგნებს. შემდგომ ეს ცოდნა მას დაეხმარა, ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე დაეწერა საღმრთო ისტორია.

1849 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, რომლის სრული კურსი 1855 წელს დაამთავრა და თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. სწორედ აქ გაიგო იაკობმა თავისი სამშობლოს დაბეჩავებული ყოფა, ქართული ენის დევნა, ქართველი ხალხის ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული შევიწროება მეფის მთავრობის მიერ. მაშინ გადაწყვიტა იაკობმა მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს გასათავისუფლებლად ებრძოლა.

1861 წელს წარჩინებით დაამთავრა სასულიერო სემინარია და უმაღლესი განათლების მისაღებად ადმინისტრაციის წარდგენით იმავე წელს კიევის სასულიერო აკადემიაში გაიგზავნა. ამასთან დაკავშირებით იაკობი წერდა: კიევში გამგზავრებისას მთავრობამ მომთხოვა ექიმს ეჩვენე და ჯამრთელობის ცნობა მოიტანეო. ვეჩვენე ექიმ სობოლჩიკოვს, რომელმაც მითხრა: ამჟამად ჯამრთელი ხარ, მაგრამ ფილტვები დაბადებიდან სუსტი აგებულების გქონია, რუსეთის ჰავას ვერ აიტან და შეიძლება დასნეულდეო. ამიტომ გირჩევ დაკმაყოფილდი იმ განათლებით რაც გაქვს და რაიმე საქმიანობაში ჩაებო. ამის მიუხედავად მე მაინც გამოვთქვი წასვლის სურვილი, რადგან ძალიან მწყუროდა მაღალი განათლება და ორი თვის შემდეგ მოვხდი კიევის აკადემიაში, გამოცდებიც წარმატებით ჩავაბარე და გავხდი სტუდენტი.

კიევის აკადემიაში იაკობი ორ წელს დარჩა მხოლოდ, რადგან მან ვერ აიტანა უკრაინის ცივი ზამთარი და ტუბერკულოზით დაავადდა. სემინარიაში იმდენად კარგად სწავლობდა იაკობი, რომ კურსის დამთავრების შემდეგ კათედრაზე დატოვებას უპირებდნენ, თუმცა ავადმყოფობამ იჩინა თავი და იაკობი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. დიდი მამულიშვილი სამშობლოში 1863 წელს დაბრუნდა. იაკობი მალე გამოკეთდა და დაიწყო მუშაობა გეოგრაფიისა და

მათემატიკის მასწავლებლად. 1868 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად აირჩიეს. მასწავლებლობისთვის თავი არ დაუნებებია რამდენიმე ქართულის გაკვეთილი აიღო რათა ამით საგნის ავტორიტეტი აემაღლებინა. ი. გოგებაშვილმა თავისი საქმიანობით მალე მიიპყრო ქართველი ხალხის ყურადღება. სამაგიეროდ გადაიმტერა ქართველი ხალხის მტრები, მაგრამ არც ერთი წუთით არ დაუხევია უკან.

თბილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად დანიშვნის დროს, სასწავლებელში არასებობდა დამამცირებელი და ყოვლად აუტანელი რეჟიმი. იაკობის მოსვლის შედეგ ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლებოდა. ერთ-ერთ ეპიზოდს იხსენებს ვასილ ბარნოვი, რომელიც შემდეგში დიდი მწერალი იყო, როცა იაკობი ინსპექტორად დანიშნეს ვასილ ბარნოვი მესამე კლასში იყო. იგი იხსენებს: მაშინ შხეპლა ისევ მეფობდა, დაბალ კლასებში, საცა წვრილფეხობა იყო, ყველა გაკვეთილზე გაისმოდა ბღავილი და ღრიალი. იაკობმა მოსვლისთანავე აკრძალა მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა, რასაც ყველა აღმზრდელი აკრიტიკებდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაემორჩილნენ. ასევე იაკობმა პირად კონტროლზე აიყვანა სასწავლებელთან არსებული პანსიონიც, რომელშიც საშინელი მდგომარეობა იყო და ცდილობდა ყველაფერი მისი ხელით გაეკეთებინა და მდგომარეობა გამოესწორებინა. ამით დიდად გახარებული იყო მოსწავლეები, რომელთაც ძალიან უყვარდათ იაკობი. (ა.გობრონიძე. 31.)

ი. გოგებაშვილი დაუახლოვდა ქართველი ხალხის სულიერ მოძღვარს, დიდ განმანათლებელს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, დიმიტრი ყიფიანს, ვაჟა-ფშაველას და სხვა მამულიშვილებს, რომელთა ხელმძღვანელობითა და მათთან თანამშრომლობით აქტიურად ჩაება საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იაკობს დიდი წვლილი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ჩამოყალიბებაში, რომელმაც შემდეგში დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის კულტურულ დაწინაურებაში.

დიდმა შრომამ, მეფის მოხელეებისგან შევიწროებამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ი. გოგებაშვილი და მოხვდა საავადმყოფოში. ამით ისარგებლეს მისმა და საქართველოს მტრებმა, მოუწყვეს სასწავლებელში რევიზია და ვითომ დარღვევის აღმოჩენით გაათავისუფლეს სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობიდან. როდესაც ეს ამბავი გაიგო იაკობმა ჩავარდა დეპრესიაში, გაიპარა საავადმყოფოდან და მტკვარში გადახტა. საბედნიეროდ იქ აღმოჩნდა ნიკო ცხვედაძის ძმა, რომელმაც გამოიყვანა წყლიდან ცოცხალ-მკვდარი იაკობი წაიყვანა სახლში და ყველა ღონე იხმარა მის გამოსაჯანმრთელებლად. იაკობმა მიიღო გადაწყვეტილება მთელი მისი შედგომი ცხოვრება მიეძღვნა მშობლიური საქართველოსათვის. ამიტომ მისი ყველა დოკუმენტაცია ბუხარში შეყარა და დაწვა. ნ.ცხვედაძის კითხვაზე თუ რა ქაღალდები დაწვა, იაკობმა სიცილით უპასუხა: დაწვენი ჩემი გემები, რომ უკან დაბრუნება აღარ შემეძლოს - ატესტატი სემინარიისა, მოწმობა აკადემიისა, სამსახურის სია და სხვა საბუთის ქაღალდები, ყველანი ცეცხლს მივართვი ძღვენად. ვაი, თუ მაგათის წყალობით შემდეგ როდისმე გამღვიძებოდა სურვილი სამსახურში შესვლისა. ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემ ქვეყანას უნდა მოვახმარო. (ა.გობრონიძე. 35).

იაკობი ბოლომდე ერთგული დარჩა თავის სიტყვებისა. არ შესულა არც ერთ სახელმწიფო სამსახურში და თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში პირნათლად ემსახურებოდა ქართველი ხალხის გათვიცნობიერებას, საქართველოს განთავისუფლებას, მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების დამკვიდრებასა და საერთოდ, ქვეყნის აღორძინებასა და წინსვლა-განვითარებას.

ი. გოგებაშვილს ტუპერკულიოზის შიშით ცოლიც არ უთხოვია, რომ შთამომავლობისთვის არ გადაედო ეს მძიმე სენი. სწორედ ამიტომ არ დაგვირგვინდა ქორწინებით იოსებ მამაცაშვილის ასულის დარიასა და იაკობის სიყვარული.

გასაოცარი კეთილშობილებითა და პიროვნული ღირსების განცდით იყო განმსჭვალული მისი ცხოვრება, მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს,

სისტემატურად უგზავნიდა ფულს რუსეთისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ სტუდენტებს, ციმბირში გადასახლებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეებს. ბევრმა მისი შუამდგომლობით სტიპენდია მიიღო, მათ შორის იყვნენ შემდგომში გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი. ამ დროს კი თვითონ საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა, ყოფილა დრო როცა ბინის ქირის გადასახადიც ვერ გადაუხდია და მეგობრებს შეუფარებიათ.

ი. გოგებაშვილს კალამიც კარგად უჭრიდა, ვისაც ქართული ენის, ქართული მწიგნობრობის ღალატს შეატყობდა, მეხივით დაატყდებოდა თავზე, საოცარი გამმაგებით ებრძოდა იანოვსკის, ქართველთა დაუძინებელ მტერს, აშორდიებსა და მისთანებს, რუსების ჩაგონებით სამეგრელოდან ქართული ენის გამოდევნა რომ მოინდომეს.

ი. გოგებაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელია. მის მოთხრობებში დიდაქტიკური ელემენტი ორგანულად ერწყმის მხატვრულ რეალიზმს. იაკობის მხატვრული შემოქმედების ძირითადი წყაროა ქართული ფოლკლორი. ქართული ანდაზების საფუძველზეა შექმნილი მოთხრობები: ქურდი და მამალი, მერცხალი და მეცხვარე, ცხვარი და მარტი და სხვა. მოთხრობები: დევნილი მეგობარი, ბელურა, ლომი, მერცხალი, აქლემი, ორაგულის ცხოვრება, ნამი, ცისარტყელა და სხვა. ბავშვებს აცნობს ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს. ისტორიულ თემაზე დაწერილი მოთხრობები: ასპინძის ომი, იოთამ ზედგენიძე, ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, ცოტნე დადიანი, თავდადებული მღვდელი თევდორე, სხივი წარსულისა, სამასი თავდადებული გლეხი და სხვა. მოზარდებს სამშობლოსათვის თავდადებასა და სიყვარულს შთააგონებს ცნობილი მოთხრობა იავნანამ რა ჰქმნა? (1890წ), ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს და ხალხთა მეგობრობას ქადაგებს. თავისი საბავშვო მოთხრობებით და მიმოხილვებით, გოგებაშვილმა დიდი ამაგი დასდო საყმაწვილო ჟურნალებს: ნობათს, ჯეჯილსა და ნაკადულს.

რა ღვაწლი მიუძღვის იაკობ გოგებაშვილს ერისა და ქვეყნის წინაშე?— ის, უპირველესად, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელია საქართველოში; ამავე დროს იყო დაუღალავი მებრძოლი სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისათვის. როგორც ითქვა, განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში. იაკობ გოგებაშვილმა ჩვენში პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო სწავლების პრინციპებად — შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა და თანმიმდევრულობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება. განსაკუთრებით აღსანიშნავია გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოები. ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის (1865), ბუნების კარი (1868), დედა ენა (1876), რუსკოე სლოვო (1887), რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებაში და რომელთა პრინციპზეა შედგენილი ქართული სკოლების დაწყებითი კლასებში მოქმედი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელოები.

ი. გოგებაშვილი არ იშურებდა სახსრებს სახალხო განათლებისათვის. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ სიკვდილის წინ მან მთელი თავისი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. შავი დღისთვის გადანახული ფული გაანაწილა და ათ-ათი თუმანი გადასცა ქართველთა, სომეხთა და მაჰმადიანთა საზოგადოებას, სარიანის სახლი უანდერმა თანასოფლელებს, სადაც სკოლა გაიხსნა.

72 წლის ი. გოგებაშვილი მძიმედ ავად გახდა, ექიმების ყოველგვარი მცდელობა, სიცოცხლის დღეები გაეხანგრძლივებინათ საყვარელი მამულიშვილისათვის ამაო გამოდგა. იაკობი გოგებაშვილი 1912 წლის 1 ივნისს გარდაიცვალა. მისი დასაფლავება გრანდიოზულ დემონსტრაციად იქცა, გლოვამ მოიცვა მთელი საქართველო. იგი დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. 1940 წელს აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავი და მისი ნეშტი დიდუბიდან გადაასვენეს მთაწმინდის პანთეონში.

## § 2. დიდი პედაგოგის მოსაზრებები ახალი ტიპის ქართველის აღზრდის შესახებ

ი. გოგებაშვილმა ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობის, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესაბამისად განსაზღვრა, მოზარდი თაობის ჰარმონული განვითარების იდეა. იგი ხედავდა რომ საქართველოს ეკონომიკა ცალმხრივად ვითარდებოდა, რადგან რუსეთი საქართველოს დაუკავშირდა რკინიგზით, შავ ზღვაში დაიწყეს მიმოსვლა რუსულმა გემებმა. რაც საქართველოს ეკონომიკის დაპყრობის მომასწავლებელი იყო.

ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრის ბრძოლას XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სათავეში ჩაუდგნენ თერგდალეულები, სადაც ღირსეული ადგილი ეჭირა იაკობ გოგებაშვილს. ისინი ცდილობდნენ ყმა-გლეხების გათავისუფლებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, შესაბამისი სამეურნეო სკოლების მოწყობით. ეროვნული კულტურის, ლიტერატურის და ხელოვნების განათლების აღორძინებას, სხვა ერებთან ძმურ კავშირს და ერთობლივ ბრძოლას ცარიზმის დასამხობად, დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ავტონომიური მმართველობის შექმნას.

იაკობ გოგებაშვილი მხოლოდ მშრომელ გლეხკაცობასა და მუშებში ხედავდა თავისი საყვარელი სამშობლოს ბედნიერების გამჭედს. მომხრე იყო მოზარდი თაობისათვის ისეთი ცოდნა მიეცა, რომელიც ცხოვრებისათვის, შრომისათვის მოამზადებდა მომავალ თაობას, რომელსაც სამშობლოსათვის სიკეთის მოტანა შეეძლო. ამიტომ უთმობდა დიდი პედაგოგი განსაკუთრებულ ადგილს მომავალი თაობის აღზრდის საკითხებს.

დიდი მამულიშვილი უკმაყოფილო იყო მისი დროინდელი განათლების დონით, რასაც შემდეგნაირაგ ხსნიდა: ახლანდელი ტიპი განათლებული ქართველებისა ძალიან მდარე არის, მათ აკლიათ გონებრივი ძალა, ცხოველი ჭკუა, ნამდვილი ცოდნა, მტკიცე ხასიათი, მხნეობა, თაოსნობა და ეხერხებათ მხოლოდ ერთი საქმე, კანცელარიაში სამსახური, ოფიციალური ქაღალდების წერა, მოხელეობა, ჩინოვნიკობა. (ა. გობრონიძე.170.).

ი. გოგებაშვილის მტკიცებით განათლების, აღზრდის შედეგი კონკრეტულ საქმეში უნდა ჩანდეს. ანუ შეძენილი ცოდნა გამოყენებული უნდა იყოს პრაქტიკაში. აღნიშნული საკითხი ჩვენ დროშიც არ კარგავს აქტუალობას და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თანამედროვე განათლების სისტემაში.

დიდი პედაგოგი სკოლებისგან და განათლების სისტემისაგან მოითხოვდა - ეპასუხათ ცხოვრების მოთხოვნილებებისათვის და აღეზარდათ ახალი ტიპის ქართველები, რომლებიც აღზრდილი უნდა ყოფილიყვნენ ახალი ტიპის სკოლაში. ახალი ტიპის სკოლა უნდა იყოს ინგლისის სკოლა-ინტერნატის მსგავსი სასწავლებელი.

ახალი ტიპის სკოლის უპირატესობას ი. გოგებაშვილი შემდეგნაირად ახასიათებდა ეს ახალი ტიპის სკოლა საოცარი ოსტატობით და სიადვილით უმდიდრებს მოსწავლეებს გონებას ნამდვილ კონკრეტულისა და ცოცხალის ცოდნით, ასწავლის ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას, გულს უვსებს მაღალი ადამიანური გრძნობებით, ანიჭებს მტკიცე ხასიათსა, ზრდის მასში თაოსნობას, უნარსა, თავისი თავის იმედსა, თავაზიანობას, დარბაისლობას და ამზადებს სულითა და ხორციით საღ ადამიანებს, შეუპოვარ მეომართა ბუნებისა და უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ. (ა. გობრონიძე. 171.).

ი. გოგებაშვილი აღზრდას განიხილავდა როგორც დიდ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საქმეს, რომელსაც ადამიანთა ცხოვრებაში გადამწყვეტი ფუნქცია გააჩნია. აღზრდის მიზნად ისახავდა ახალი ტიპის ქართველის ჩამოყალიბებას. იგი



უნდა ყოფილიყო ყოველმხრივ აღზრდილი, ჰარმონიულად განვითარებული, რაშიც ი. გოგებაშვილი, პროფესორ თავზიშვილის აზრით, გულისხმობდა შრომით, გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას.

ადამიანის შრომით აღზრდას ანიჭებდა ი. გოგებაშვილი უდიდეს მნიშვნელობას. ადამიანმა თავისი თეორიული შრომითი ცოდნა უნდა გამოიყენოს პრაქტიკაში და ამით ის შეძლებს დაეუფლოს ჩვენს მდიდარ ბუნებას, გადააქციოს იგი დაუშრობელ წყაროდ ქონებისა და იცხოვროს ღირსეულად, დამოუკიდებლად და სასარგებლოდ ქვეყნისათვის.

შრომის ტაქტიკის და ცოდნის გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია უკეთესი შედეგის მიღება. რასაც იაკობი შემდეგნაირად აღნიშნავს: უმეცარს კაცს შეუძლიან შიმშილით მოკვდეს თვით უმდიდრეს ბუნებაში, თუ მას ამ ბუნების არაფერი არ გაეგება. თვით ლატაკი ბუნება შეძლება ადამიანმა შექმნას სიმდიდრის წყაროდ, თუ მან ზედმიწევნით იცის, საიდან უნდა მოუაროს ამ ბუნებასა და როგორ გახადოს იგი მოსამსახურედ თავის მოთხოვნილებისა.

ქართველთა განმანათლებელი დიდი ილია აბოზდა: საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიიღოს, ბევრი ცოდნა შეიძინოს. ამასთან იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლეობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმდენად უფრო ძლიერ საშიშია, უფრო დიდად მავნებელია. სავსეობა ერთობ ადამიანისა იმასშია, რომ მისი გონების აღმატებულობას შეწონის ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა".

ანალოგიურ აზრს ავითარებდა იაკობიც. მისი ბრძნული აზრით ადამიანის წიგნიერ განათლებასთან ერთად აუცილებელია პიროვნების სულიერი განათლებაც. იგი სასტიკად ებრძოდა გაუნათლებლობას, მაგრამ სასტიკად ვერ იტანდა ზნეობრივად

გახრწნილ ადამიანებს. მისი იდეალი იყო სულიერად ჩამოყალიბებული და განათლებული, მთლიანი პიროვნების აღზრდა. დიდი პედაგოგი თავად იყო ასეთი მთლიანი, ჰარმონიული მოქალაქე და ამიტომ კატეგორიულად მოითხოვდა განათლებასთან ერთად საგანგებო ყურადღება მიქცეოდა მომავალ თაობებში მაღალადამიანური თვისებების აღზრდას. იაკობი გონებრივ განათლებაზე წინ ადამიანის მორალურ სისპეტაკეს, კეთილშობილებასა და მამულიშვილობას აყენებდა. მას არ სწამდა ისეთი სწავლული, რომელიც ზნეობრივად დაცემულია, ანგარებაზე უარს არ ამბობს: განთქმული ბეკონი, - წერს - ის, - ერთსა და იმავე დროს იყო პირველი სწავლული და პირველი ეგოისტი, საშინელი მექრთამე საძაგელი გამცემი მეგობრისა (გრაფი ესკსი).

ადამიანის საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებიდან ი. გოგებაშვილს გამოჰყავს პიროვნების ყველა მაღალი ღირსება და მათ შორის, ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, შრომისმოყვარეობა, მეგობრობა, სიმართლე, ზრდილობა, პატიოსნება, ზომიერება და სხვა თვისებები. წერს პროფესორი გ. თავზიშვილი.

სწავლა- სწავლების საკითხში გადამწყვეტი როლი ეკისრება პიროვნების სულის ჰარმონიულ განვითარებას რაშიც გადამწყვეტ როლს იაკობი ზნეობრივ აღზრდას ანიჭებდა. ზნეობრივმა აღზრდამ ბავშვს უნდა ჩაუნერგოს: ადამიანური ღირსებები, საზოგადოებრივი მოვალეობების მაღალი შეგნება, სადაც გულისხმობდა ხალხისათვის უანგარო სამსახურს და მათი ჭირისა და ღვინის სათანადო დონეზე გაზიარებას.

გონებრივ აღზრდაში ი. გოგებაშვილი უპირველესად ფიქრობდა, მოსწავლის მომზადებას გონებრივი შრომისა და ცოდნის შეძენისათვის. მისი აზრით ჭეშმარიტი მეცნიერული ცოდნა ასწავლის ადამიანს ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლას. ცოდნა-განათლებას ძლიერ იარაღად თვლიდა. მან ძალზე კარგად იცოდა, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ადამიანის

ღირსება იზომება არა მისი ფიზიკური ძალით ან ქონებით, არამედ გონების ძალით, ცოდნის სიმდიდრით.

ი. გოგებაშვილი ზნეობრივი აღზრდის შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა - პატრიოტიზმი. იაკობი წერდა: არა გვგონია ვინმესთვის უცნობი იყოს ის აზრი, რომ მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი თანხა ქვეყნის ბედნიერებისთვის. დიდი მამულიშვილი ამის შესახებ სვამდა კითხვას. ვის შეიძლება ეწოდოს ნამდვილი პატრიოტი? რაზეც თავადვე არაჩვეულებრი პასუხს გვაწვდის. პატრიოტი ჰქვია მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადალობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მამულზე ზრუნვისთვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე.

ინტერნაციონალიზმს აქცევდა დიდ ყურადღებას იაკობი და ამბობდა, რომ ოჯახში ბიბლიოთეკები გამდიდრებული უნდა ყოფილიყო ინტერნაციონალიზმის შემცველი თემებით, რათა მომავალი თაობების აღზრდის საქმეში თავისი წვლილი შეეტანა აღნიშნულ ლიტერატურას. თვითონ იაკობი აღნიშნავდა, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა სადაც შევიწროება არ განუცდია არც ერთი სხვა ერის წარმომადგენელს.

ადამიანმა თავის ერთან ერთად, პატივი უნდა სცეს სხვა ერის წარმომადგენლებს. თავის ერის ერთად უნდა უხაროდეს სხვა ერების სიკეთე, კეთილდღეობა და დაინტერესებული იყოს მათთან ძმური ურთიერთობით.

აკაკი წერეთელი, რომელიც სხვა თერგდალეულებთან ერთად, პოეტური სიტყვითა და პუბლიცისტური წერილებით შეუპოვრად იბრძოდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. კიცხავდა მას, ვინც ღალატობდა ერთობის, ძმობის იდეას და

ამბობდა: მთელ ქვეყანაზე კაცთა შორის იყოს წყეული... ის იყოს კრული, ვისაც არ სწამდეს და არ უყვარდეს ძმობა, ერთობა და სიყვარული.

აკაკიმ როცა მიმართა მოსკოვში მყოფ ქართველ სტუდენტებს აღნიშნა: შოვინისტობა, ე. ი. სამშობლოს უკუღმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვლებენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, სამაგლობაა, მაგრამ ერთი ათასად უფრო საზიზღრობაა თავისი ქვეყნისათვის სამშობლოს გარეწრობაა. ვისაც თავისი მშობელი არ უყვარს, ის სხვებსაც ვერ შეიყვარებს. ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, ის ვეღარც კაცობრიობას გამოადგება. თავისი ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატება.

ი. გოგებაშვილი ჰუმანიზმს ხედავდა ადამიანის ჭეშმარიტ სიყვარულში. მისი მტკიცებით ადამიანის სიყვარულისა და პატივისცემის გარეშე შეუძლებელია სიყვარული და პატივისცემა როგორც საკუთარი ერისა ისე კაცობრიობისა. იაკობი წერს: ვინც გამსჭვალულია ადამიანისადმი სიყვარულით, ის ამ კეთილშობილ გრძნობას ახორციელებს პირველ ყოვლისა თავის სამშობლოსა და თავის ტომთა მიმართ, როგორც კაცობრიობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც უფრო ახლოსაა მასთან, მაგრამ ამავე დროს სიყვარულითა და სამართლიანობით ეპყრობა სხვა ერებსაც. და ამგვარად, ემსახურება საყოველთაო ჰუმანიზმის მაღალი ცნების განხორციელებას.

ამრიგად ი. გოგებაშვილი თვითონ იძლეოდა მაგალითს ახალი ტიპის ქართველის ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნული თვისებები, რომელიც უნდა გააჩნდეს ახალი ტიპის ქართველს: ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, შრომისმოყვარეობა, მეგობრობა, სიმართლე, ზრდილობა, პატიოსნება, ზომიერება და სხვა, გადმოცემული აქვს თავისი უნიკალური წიგნების საშუალებით: დედა ენა, ბუნების კარი და რუსკოე სლოვო. რომელთა საშუალებით იზრდებოდა და კვლავ აღიზრდებოდა ღირსეული ახალი ტიპის ქართველები, რომლებიც გამოადგებიან თავიანთ სამშობლოს საქართველოს.

### § 3. იაკობ გოგებაშვილი-ენის ქომაგი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული კულტურის კორიფეების, ილიასა და აკაკის გვერდით იდგა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. ფართო მიზნებით, იმედებითა და შემოქმედებით მიიკვლევდა ის მძიმე შრომისა და ბრძოლის გზას და საშვილიშვილოდ ტოვებდა სახელს შთამომავლობის სადიდებლად. ის გვასწავლიდა, ის გვმოდვრავდა, ის გვარიგებდა ბნელსა და მწუხრში ინარჩუნებდა ერის სიწმინდეს, განათლების სხივებით სპობდა ბნელეთის მოციქულებს და დაცემული ქვეყნის დედაბოძად დედაენას ხვეწდა, წმენდდა და აჩუქურთმებდა, ის ინახავდა რუსთაველის ტკბილ მეტყველებას, ერის გენიას გვასიტყვებდა, გვიახლოვდებოდა, ხალხის დაჩაგრულ გულს იმედის სხივით აცოცხლებდა, მწუხრით მოსულ დროს აზრიანს ჰხდიდა და ნაღვლიან ბავშვობას ახალისებდა. თვითონ უშვილო და უოჯახო, მაგრამ უამრავი ბავშვის პატრონი, მრავალრიცხოვანი ოჯახის სულიერ საზრდოს ხალხის გონების ჭირნახულს იყენებდა და დედა ენით ნანას გვიმღეროდა. უამრავ ბავშვს აუდგამს ფეხი მისი პირველი სიტყვებით, „აი ია“-თი და გონებრივი განვითარების გზას დასდგომია მისი მშობლიური შემწეობით, მხარში დგომითა და თანადგომით.

დედაენა და იაკობ გოგებაშვილი ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში განუყოფელი ცნებებია. ვამბობთ იაკობ გოგებაშვილს და თვალწინ დედაენა გვეხატება, ვახსენებთ დედაენას და მაშინვე იაკობ გოგებაშვილის მაღლიანი სახე წარმოგვიდგება. ასე განუყრელად დააკავშირა ისტორიამ ეს ორი ცნება. ასე გაითავისა ქართველმა ხალხმა დედაენისა და ერის დიდი ქომაგი იაკობ გოგებაშვილი.

განათლების საქმეში ი. გოგებაშვილი დიდ ადგილს უთმობდა მშობლიური ენის შესწავლას. უფრო მეტიც, ენა მიაჩნდა მას ყოველგვარი სწავლების ქვაკუთხედად, საიმედო საძირკვლად. ი. გოგებაშვილი წერდა: სადაც კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედა ბოძად მას ჰქონდა და აქვს დედა ენა, სწავლება დედა ენაზე, როგორც საუკეთესო ღონე, განვითარებისა და ცოდნის შეძენისა. რომელ ქვეყანაშიც კი გადაუხვევიათ ამ გზისათვის, იქ გონების გახსნის მაგიერ მისი დახშობა მიუღიათ. განათლების მაგიერ დაბნელება და ზნეობის გაწმენდის და ამაღლების მაგიერ მისი დაცემა.

ი. გოგებაშვილი ზემოთ აღნიშნული პრინციპებიდან ამხელს ყველა იმ ცუდ საქმეს რაც ხდებოდა დედაენის დევნის მიმართულებით. მას არ დაუტოვებია იმ დროისათვის არსებული არც ერთი სკოლა კრიტიკის გარეშე, სადაც ქართულის ენის სწავლება დამცირებელი იყო.

ასევე დაულაღვად ებრძოდა რუსიფიკატორ მეფის მოხელეებს, რომლებიც დევნიდნენ სკოლებიდან დედაენას და უპირატესობას რუსულ ენას ანიჭებდნენ. იაკობი მათ წინააღმდეგ რაზმავდა მოწინავე ქართველ საზოგადოებას.

ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც ქართული ენა განდევნილი იყო სკოლებიდან, პატივყრილი ოჯახებიდან, არისტოკრატებს რცხვენოდა ქართულად ლაპარაკი და მოსაწონად მიაჩნდათ რუსულად ლაპარაკი. თითზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულადვე მეტყველებდა, ქართული ენის შესასწავლად კი მხოლოდ ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა და აი ამ განწირულ დროს გამოდის ი. გოგებაშვილის დედა ენა, რომლითაც ის ცდილობს მშობლიური ენის შესწავლას, შეტანას ქართულ სკოლებში. ამ დროიდან მოსწავლის მშობლიური ენის შეთვისების საფუძვლად დედა ენა ჰქონდა, საძირკველი მისი თვალის ახელას, გაადამიანებას დედა ენის საშუალებით ჩაჰყროდა.

იაკობს თავისი დედა ენა მიაჩნდა ქართველისათვის ეროვნულობის შესანარჩუნებლად. ვინც ამ წიგნის შესახებ საწინააღმდეგოს რამეს იტყოდა, ცხადდებოდა ქართული ენის, ყოველივე ქართველის მტრად, საქართველოს ძირის გამომთხრელად. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ი. გოგებაშვილის დედა ენა, რომელიც გამოვიდა 1876 წელს, საძირკველი ჩაუყარა ქართული ენის გადარჩენას.

ი. გოგებაშვილი თავისი მრავალი სტატიით, პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაშრომებით, რომლებიც ქვეყნდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე, ენერგიულად იბრძოდა, რომ საზოგადოებრივი აზრი შეომოეკრიბა დედაენის დასაცავად. მისმა მეცნიერულ-პედაგოგიურმა და პუბლიცისტურმა ნაშრომმა ბურჯი ეროვნებისა დიდი როლი შეასრულა ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულის გაღვიძებაში. ენის დაცვისათვის აუცილებელი იყო დედაენაზე სწავლება, რასაც ხელს უშლიდა ცარიზმი და ცარიზმის მოხელეები. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ქართული ენის სწავლებას ქართულ სკოლებში. დედა ენა აღმოჩნდა წიგნი რომელსაც კონკურენცია ვერ გაუწია ვერცერთმა სხვა წიგნმა, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ქართული ენის გადარჩენას რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის კლანჭებისგან.

ქართული პედაგოგიკური მეცნიერების მამამთავრის ი. გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მიმართული იყო ქართველი ერის წინსვლისაკენ. ი. გოგებაშვილი დიდ მამულიშვილებთან ი. ჭავჭავაძესთან, ა. წერეთელთან და სხვებთან ერთად, მეფის რუსეთის ბიუროკრატიული თავაშვებულობის დროს დიდი ენთუზიაზმითა და თავდადებით იბრძოდა დედა ენის უფლების აღსადგენად და დასაცავად.

ი. გოგებაშვილის მოღვაწეობა ძირითადად მიმართული იყო, ქართული ენისა და კულტურის აღორძინება, განვითარებისაკენ. ის იზიარებდა კ. უშინსკის გამონათქვამს: მოკვდა ენა? მოკვდა თვით ხალხიც. მან კარგად იცოდა რომ ქართული ენის დაქვეითება და გადგვარება, გადაავგარებდა და მოსპობობდა თვით ქართველ

ერსაც. ასეთგვარი გაფრთხილება დაუტოვა ქართველ ერს გრიგოლ ორბელიანმაც: რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას.

ჩვენი სამშობლო, როგორც გალაკტიონმა თქვა: „საომარ ლელოდ“ იყო გადაქცეული. გარე თუ შიდა მტრები მუდმივად ცდილობდნენ ქართველთათვის წაერთვათ მამული, ენა, სარწმუნოება. იაკობი წერდა: რუსეთთან შეერთების შემდეგ სარწმუნოება კი უზრუნველყოფილი იქნა, მაგრამ განსაცდელის წინაშე დადგა ჩვენი ენაო.

XIX საუკუნეში საქართველოს სახელმწიფო ენად რუსული ენა გამოცხადდა. დაიწყო დედაენის მკაცრი დევნა როგორც სკოლებიდან ასევე ოჯახებიდან. შეზღუდეს სკოლაში დედა ენის სწავლება, პირველ და მეორე კლასებში ისწავლებოდა კვირაში ორი გაკვეთილი. მესამე, მეოთხე კლასებში თითო გაკვეთილი კვირაში. მეხუთე კლასიდან კი ქართული ენა საერთოდ აღარ ისწავლებოდა სკოლაში. ქართული ენის გაკვეთილები სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გაკვეთილების შემდეგ ტარდებოდა, არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და მეტად დამცირებულ მდგომარეობაში იყო. გაკვეთილების ბოლოს დადლილ დაქანცულ ბავშვებს ასწავლიდნენ ქართულ ენას, რა დროსაც მათ არანაირი ხალისი აღარ გააჩნდათ სწავლისა. ი. გოგებაშვილი მოითხოვდა: ქართული ენა უნდა გახდეს სავალდებულო საგნად ყველა ქართველთათვის, მიენიჭოს სრული უფლება სამტატო საგნისა იმ დროს, როდესაც ისწავლება ყველა სხვა საგანი ხუთის ნორმალური საათის განმავლობაში. მის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს იგივე ცენზი, იგივე სამსახურის უფლება და ეძლეოდეს იმდენივე ჯამაგირი, როგორც სხვა საგნის მასწავლებლებს... ამჟამად კი ქართული ენა სკოლებში ისეა მივიწყებული და მიფუჭეჩებული, რომ, არა ვგონებ, რომელიმე სხვა ენა იყოს ამიერკავკასიაში ისე აბუჩად აგდებული და პანდურამოკრული.

ი. გოგებაშვილი ენას მიიჩნევდა ცოცხალ ორგანიზმად, რომელსაც მუდმივი მოვლა და ზრუნვა ჭირდებოდა ზრდა-განვითარებისთვის. დიდი მამულიშვილი ასეთ



მითითებას გავაძლევს: შეაჩერეთ ენის ზრდა და იგი დაჟანგებას იწყებს, უკან-უკან წავა, გალატაკდება, დაჭკნება, დაიმარხება და სამარეში თან ჩაიტანს თავის შემქმნელ ერსაც. ჩააყენეთ იგი ნორმალურ მდგომარეობაში, შექმენით მისი ზრდისათვის საჭირო პირობები და იგი განვითარდება, აყვავდება, გამდიდრდება ლექსიკონით და ფორმებით, თავის ლიტერატურას ააღორძინებს, მეცნიერებას დაბადებს და ააყვავებს ნაციონალურს ნიადაგზე და მოუშადადებს თავის შემქმნელ ერს ნათელ და სანატრელ მომავალს... სიკვდილის გზას ადგას ყოველი ენა, რომელიც გამეფებული არ არის ოჯახსა და სკოლაში. იზრდება, ძალით ივსება ყოველი ენა, რომელიც მეფობს ოჯახსა და სკოლაში... ეს კარგად უნდა გვესმოდეს ქართველებს და ჩვენი ენა გავამეფოთ არა მარტო ოჯახში, არამედ ყოველ სახალხო სკოლაშიაც, რა ხარისხისაც უნდა იყოს ეს სკოლა.

დიდი ბრძოლა უხდებოდა ი. გოგებაშვილს რუს მოხელეებთან, რომლებმაც გადაწყვიტეს დედა ენა შეეზღუდათ. ამის მიზნით მათ წააქეზეს ქართველთა ტომები, მეგრელები და სვანები, რომლებსაც მოუწოდებდნენ, რომ ქართული ენის მაგივრად ესწავლათ და ელაპარაკათ მეგრულად და სვანურად.

ქართული ენისგან მეგრული ენის გამიჯვნის ცდები შემდეგნაირად განვითარდა. სამურზაყანოს ეკლესიის დეკანოზმა მაჭავარიანმა, საქართველოს ეგზარხოსის ისიდორეს წინადადებით ქართულიდან მეგრულად თარგმნა წმინდა ოქროპირის ლიტურგია, ხალხმა არ ისურვა საღვთო წიგნები მეგრულ ენაზე და წირვა-ლოცვაზე შეწყვიტეს სიარული. სამი ათეული წლის შემდეგ სამეგრელოს სკოლებში დაიწყო მეგრულის სწავლება, ქართულ ენას კი დევნიდნენ სკოლებიდან. ამ სკოლებში ქართულის სწავლების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოირჩეოდა თადა აშორდია. ჯერ კიდევ ხონის საოსტატო სემინარიაში სწავლების პერიოდში თადას მიაჩნდა რომ, მეგრელები ქართველები არ არიან, რომ მათ მალე ექნებათ მათი ლიტერატურა და სახელმძღვანელოები, ეყოლებათ მწერლები და პოეტები. აშორდიას მომხრეების გარდა მფარველები ჰყავდა. ესენი იყვნენ რუსი მოხელეები რომელთა მიზანი იყო,

საქართველოდან ჩამოეშორებინათ სამეგრელო და გაერუსებინათ. თადა აშორდიათ, იაკობ გოგებაშვილის დედა ენის მსგავსად, მეგრელებისათვის „დიდა ნინა“ შეადგინა და წარუდგინა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს იანოვსკის, რომლის თხოვნითაც რუსეთის განათლების სამინისტრომ საქართველოში გამოგზავნა ქართული ენის მცოდნე ალექსეი გრენი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე მოღვაწეობდა, რომელსაც სასწრაფოდ უნდა შეედგინა მეგრული ანბანი და სახელმძღვანელო. 1899 წელს შეიქმნა გრენის მეგრული ანბანი და სახელმძღვანელო მეგრული ბავშვებისათვის წერა-კითხვის სასწავლებლად, მაგრამ ამ ანბანმა ვერ შეაღწიეს მეგრულ სკოლებში, რადგან სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის: დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, იაკობ გოგებაშვილის, იონა მენარგიას და სხვათა მხრიდან. გაზეთ ივერიაში და სხვა პერიოდულ გამოცემებში ისტამბუბოდა წერილები, სადაც სასტიკად აკრიტიკებდნენ ქართველი ხალხის გარუსების პოლიტიკის მესვეურებს.

ი. გოგებაშვილი დარწმუნებული იყო, რომ სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის ცდა ისეთივე უკმაყოფილებას გამოიწვევდა მეგრელთა შორის, როგორც ღვთისმსახურებიდან ქართული ენის განდევნის ცდამ გამოიწვია.

ი. გოგებაშვილი ამბობდა: სამეგრელოს სკოლებში საუკუნეების მანძილზე არსებული სასწავლებლის წინანდელი სისტემის გაუქმება არა თუ უსაფუძვლო, უსამართლო და საზიანოა, არამედ შეურაცხმყოფელიცაა ქართველი ხალხისათვის. კავკასიაში არ მოიპოვება არც ერთი ხალხი, რომელიც რამდენიმე კილოზე არ ლაპარაკობდეს, მიუხედავად ამისა კავკასიის ოლქი ყველგან სწავლებას საერთო სახალხო ენაზე აწარმოებს. ამასთან დასძენს იგი: სამეგრელოს სკოლებში ახალი სასწავლო გეგმებისა და ახლად შეთხზული, მახინჯი მეგრული ანბანის დაუყოვნებლივ გაუქმება და სახელმწიფო ენის სწავლებასთან დაკავშირებით ქართულ ენაზე და ქართული წიგნებით სწავლების მრავალსაუკუნოვანი

სისტემისადმი დაბრუნება წარმოადგენს იმ ღონისძიებას, რომელსაც მოითხოვს არა მარტო მეგრელთა ტომის სიკეთე და მართლმადიდებელი ქართველი ხალხის სარგებლობა, არამედ პირდაპირი, ყველაზე არსებითი სახელმწიფო ინტერესებიც. და ბოლოს ყოველივე ზემოხსენებულს ჩვენ საჭიროდ ვთვლით დავუმატოთ ისიც, რომ ის, რაც მეგრელთა შტოს შესახებ ითქვა, სავსებით შეეხება ქართველი ხალხის მეორე შტოსაც - სვანებს, რომელთა არაქართველებად გადაქცევას ლამობენ იგივე გულმოდგინე, მაგრამ ხეპრე პოლიტიკანები, წინააღმდეგ ამ სიმპათიური მთიელი ქართველების სურვილისა, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან დღემდე მხოლოდ ქართულ ალფაბეტს ხმარობენ, ეკლესიაშიც და თავისი ცხოვრების ყველა სხვა სფეროში.

ყოველივე ამას ი. გოგებაშვილი მკაცრად აკრიტიკებდა და მოთხოვდა გაეუქმებინათ მეგრული ანბანი და ყველა ქართველს ესწავლა ქართული დედა ენით. ასევე ღვთისმეტყველებაც ესწავლათ მშობლიურ ენაზე, რადგან რუსეთის ყველა ტომი ღვთისმეტყველებას სწავლობდა თავიანთ მშობლიურ ენაზე.

XIX საუკუნის ბოლოს საგანგებო კომისიამ ალექსი ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით შეადგინა სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც სწავლება ქართულ დაწყებით სკოლაში უნდა წარმართულიყო, მშობლიური დედა ენის საშუალებით. ეს გეგმა მასხრად აიგდეს მაშინდელმა გაზეთებმა, რუსიფიკატორულმა პოლიტიკის მოხელეებმა და ქართული ენის სწავლება მთლიანად გააუქმეს სკოლებში.

ამ ამბით შემფოთებული ი. გოგებაშვილი მოითხოვდა: ყოველ სოფელში გახსნილიყო ქართული წერა-კითხვის სკოლა ორი წლის კურსით, რომელშიაც რუსულ ენას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. რამდენიმე სოფელს უნდა ჰქონდეს სახალხო სკოლა რამდენიმე წლის კურსით, სადაც სწავლება ყოველი საგნისა უნდა მიდიოდეს დედაენაზე, რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი.

ი. გოგებაშვილი დედა ენის სწავლებას აუცილებლად მიიჩნევს და მისი სწავლების აუცილებლობას შემდეგნაირად აღწერს: დედა ენა არის ძვირფასი სალარო,

დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონითა და მხნეობით.

ი. გოგებაშვილმა არაჩვეულებრივად იცოდა ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსული, რის შესახებაც თავის მედროვეებს მოაგონებდა: სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლმა ქართველმა ხალხმა ერთი ზღვა სისხლი დასთხიეს მისთვის, იგერიებდნენ აუარებელ მტრებს თითქმის სამი ათასი წლის განმავლობაში, ვერაგი მომხდურები ჩვენს სისხლში ჩახჩობასა და მოშობას ცდილობდნენ, თითქოს ქართველნი დამნაშავენი იყვნენ მით, რომ ასეთი მშვენიერი ქვეყანა ეჭირათ და ხელს უშლიდნენ თვალხარბსა და გაუმაძღარ მტრებს, დაუფლებოდნენ ამ მშვენიერ ქვეყანას.

ცარიზმის ერთგული მოხელე მამა ვოსტორგოვი, რომელსაც ქართველები ეზიზღებოდა აცხადებდა: ქართველები მე სიტყვებით დამიწყებენ ლანძღვას, მე კი მათ საქმით მოვუღებ ბოლოსო. ის და მისი თანამზრახველები იქამდე მიდიოდნენ, რომ ხმამაღლა ამბობდნენ რუსეთის იმპერიის მტრულ განზრახვას. ჩვენთვის ქართველები სრულად არ არიან საჭირონი, სამაგიეროდ საჭიროა საქართველო.

ი. გოგებაშვილი კარგად იცნობდა საქართველოს მტერსა და მოყვარეს. იგი სათანადო პასუხს სცემდა სამშობლოს მტერსა და მოყვარეს. იბრძოდა სიტყვით, კალმით და საქმით, მშობლიური ენის დასაცავად, რაც ერთ-ერთი წინაპირობა იყო ქართული ერისა და გენის გადასარჩენად.

საქართველოში ბატონყმობის დასრულების შემდეგ, ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა გადაწყვიტეს გლეხობაში სწავლა-განათლება მშობლიურ ენაზე განეხორციელებინათ. ამ მიზნით 1879 წელს შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის სათავეში სხვა მწერლებთან

ერთად იდგა იაკობ გოგებაშვილი. საზოგადოებამ ფასდაუდებელი ამაგი გასწია ქართული პედაგოგიური აზრისა და განათლების ჩამოყალიბება განვითარებისთვის. აღნიშნულ საქმიანობას დიდად ხელი შეუწყო ი. გოგებაშვილის მიერ შექმნილმა წიგნებმა: ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, დედა-ენა, ბუნების კარი. მან მრავალი პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოები შექმნა, რომლებიც მისი წიგნების საშუალებით იყო გადმოცემული. ეს ნაწარმოებები დღესაც დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა მხატვრულ-შემეცნებით და აღმზრდელობით აღზრდის საქმეში.

დიდი იაკობი თავის ერს უანგაროდ ემსახურებოდა, რის შესახებაც თვითონ იაკობი წერდა: ორმოცი წლის მანძილზე მე თითქმის გამუდმებით მონაწილეობას ვიღებდი ჩვენს ლიტერატურაში და კაპიკიც არ ამიღია შრომის ფასად მაშინაც კი, როცა ჯერ ჩემი ქართული სახელმძღვანელოები გავრცელებული არ იყო და გაჭირვებას ვითმენდი. თვითონ ეს სახელმძღვანელოებიც ერთი-ორად და სამად იაფად იყიდებოდა, ვიდრე სხვა ერების სახელმძღვანელოები. მათი შემოსავალი კი მთლად ხმარდებოდა სტიპენდიებს და საზოგადო საქმეებს. მე პირადად ვცხოვრობდი და ვცხოვრობ რუსკოე სლოვოს შემოსავლით. ვერც ერთი ცილისმწამებელი ვერ მონახავს ჩემს ძველსა და ახალ ნაწერებში თუნდაც მცირეოდენს ორჭოფობას, ორგულობას. მე გამოვედი საზოგადო ასპარეზზე შემუშავებული პროგრამით, კარგად მოფიქრებული იდეური მრწამსით და მისთვის არასდროს მიღალატია.

ქართველმა საზოგადოება დედა ენის დღედ დააწესა 14 აპრილი. რასაც თავისი ისტორია აქვს: 1978 წლის 14 აპრილს საქართველოს მოსახლეობამ გააპროტესტა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, ქართულის როგორც სახელწიფო ენის გაუქმების შესახებ, საპროტესტო გამოსვლებით ხალხი ითხოვდა ქართული ენის სახელწიფო ენად დაკანონებას. პროტესტმა შედეგი გამოიღო და მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელწიფო ენად, ქართული ენა გამოცხადდა. ასე

დამკვიდრდა დედა ენის დღეც, რომელიც მას შემდეგ ყოველწლიურად აღინიშნება დიდი ზეიმით.

ენით აღუწერელია დიდი ქართველი პედაგოგის, ქართული ენის ქომაგის ი. გოგებაშვილის ღვაწლი ჩვენი სამშობლო საქართველოსათვის.

**თავი II . დედა ენის შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა**

### **§ 1. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები**

ი. გოგებაშვილმა სახელმძღვანელოების შედგენა მაშინ დაიწყო, როდესაც ეს მოითხოვა სასკოლო ცხოვრებამ და მომავალი თაობის სწავლა, განათლების გარდაქმნებმა. თავისი სახელმძღვანელოებით იაკობმა საძირკველი ჩაუყარა ჭეშმარიტი მამულიშვილების, ნამდვილი ადამიანების აღზრდას, ხალხის სიბრძნეს, შრომას, სიყვარულს, პატიოსნებას და მამულიშვილობას.

დიდმა პედაგოგმა კარგად იცოდა ბავშვის ფსიქოლოგია, იცოდა, რა მიიზიდავდა და გაახარებდა ბავშვს. ითვალისწინებდა შესაძლებლობებს და ინტერესებს, რათა უკეთ მიეზიდა მოსწავლეები და გაეზარდა მოტივაცია სკოლისა და სწავლის მიმართ. ამას ითვალისწინებდა ის ყოველთვის სახელმძღვანელოების შედგენისას.

ი. გოგებაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა გაიაზრა და ცდილობდა სხვებისთვისაც გაეაზრებინა რომ საბავშვო ლიტერატურა ერთ-ერთი დიდი წყაროა ადამიანის მორალური ფორმირებისათვის, რომ ის მძლავრად ეხმარება მომავალი მოქალაქის, ცხოვრების მედგარი მჭედლის აღზრდის საქმეს. თუ მანამდე საბავშვო ლიტერატურას მეტად ზღუდავდნენ, ჰკეტავდნენ მეტად ვიწრო მორალის ჩარჩოებში, მოქალაქეობრივი გრძნობების გამომუშავების მიზნად არ უსახავდნენ, გარემო ცხოვრებას აცილებდნენ და ზნეობრივ ცნებებს ახვევდნენ ბავშვის თავს და არ უმარტავდნენ, რომ ზნეობრივი ცნებები არ არის საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე. ი. გოგებაშვილმა აშკარად და მტკიცედ მოითხოვა, რომ ლიტერატურა ბავშვში უნდა ნერგავდეს საღ ზნეობრივ ცნებებს, უნდა ეხმარებოდეს მის ზნეობრივ განვითარებას, მაგრამ ეს აუცილებლივ უნდა ხდებოდეს გარემო ცხოვრების შესწავლის თუ გაცნობის საფუძველზე და აძლევდეს ბავშვს ცხოვრების გამოცდილებას.

ი. გოგებაშვილის მოთხოვნებში დიდაქტიკური ელემენტი ორგანულად შერწყმულია მხატვრულ რეალიზმთან, მათში ცოცხალი სინამდვილის მაჩვენებელი სახეები გასაგებ და მისაწვდომ ფორმებშია მოცემული, ეს იწვევს ცოცხალ აზრს, განწყობილებას, რითაც ხელს უწყობს ბავშვის მსოფლმხედველობის გამომუშავებას. საბავშვო მოთხოვნებში ი. გოგებაშვილის შეხედულებით ავტორი თვალწინ უნდა უხატავდეს ნორჩ მკითხველს ყველაფერს, რაც პატარა ბავშვისათვის უსაყვარლეს საგნად ხდის მის აღზრდის ადგილს, მის ბავშვობის გარემოს.

ი. გოგებაშვილმა კარგად იცოდა ბავშვის ბუნება, მისი მოთხოვნილებები და ამ თავის რეცენზიაში, უხმობს საბავშვო ლიტერატურის სარბიელზე მწერლებს, აფრთხილებს, რომ საბავშვო მოთხოვნების წერა. მეტად ძნელია და მოითხოვს საფუძვლიან მოსაზრებას, გულისყურის დამყარებას, დიდი ხნით და მუყაით შრომას. მისი აზრით: საბავშვო მოთხოვნაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მოქმედების

დახატვას, დრამატიზმსა და პლასტიკური აღწერა უნდა იყოს მოკლე და უნდა შეეხებოდეს მხოლოდ უმთავრეს საგნის ნაწილებს.

მწერალი და პედაგოგი ი. გოგებაშვილი იცავს დიდაქტურ პრინციპს და თავის საბავშვო მოთხრობებში, რომლებითაც ის ცდილობს ბავშვი გაარკვიოს გარემო ცხოვრების მოვლენებში, გარემოს იძლევა ნაცნობიდან უცნობისაკენ, მახლობლიდან შორეულისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ. მისი შეხედულებით საბავშვო მოთხრობებში, რომელთაც მიზნად აქვს ბავშვი გარემოში გაათვინცნობიეროს, თვით რთულს და ღრმა შინაარსს ისე ცხადად, ისე აშკარად, ისე ადვილად განახორციელებს მსუბუქ სიტყვებსა და ფრაზებში, რომ პატარა ბავშვსაც კი არ გაუძნელდება მისი გაგება და შეთვისება.

ასეთივე თვისებებით ხასიათდება ი. გოგებაშვილის საბავშვო მწერლობა, მისი პატარა მოცულობის, მშვენიერი, მსუბუქი, დახვეწილი ქართული ენით დაწერილ ნაწარმოებებს დიდი ხალისით და ინტერესით შეჰყავს ბავშვი ცხოველთა და ბუნების სხვა მოვლენათა სამყაროში. მას აღებული აქვს ისეთი მოვლენები და ამ მოვლენათა ისეთი მომენტები, რომლითაც ბავშვი უშუალოდ ხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

იაკობ გოგებაშვილმა 1868 წელს გამოსცა საკითხავი წიგნი ბუნების კარი. ბუნების კარი ელემენტარულ-ენციკლოპედიური ხასიათის საკითხავი წიგნია, სასარგებლო ცოდნას იძლევა ბუნებისა და საზოგადოების შესახებ. მასალა პედაგოგიურ-მეთოდური თანმიმდევრობითაა დალაგებული და დაწერილია გასაგები ენით. შედგება რამდენიმე თავისაგან: წინა სტატიები, მცენარეები, ფრინველები, ოთხფეხნი, ადამიანზედ, წელიწადის დრონი, ბუნების მოსლენანი, გეოგრაფიული სტატიები, საქართველოს მოკლე გეოგრაფია, კერძობითი განხილვა და ლექსები. ამ ეროვნულმა სახელმძღვანელომ თავის დროზე უდიდესი როლი შეასრულა ქართული ენისა და კულტურის დაცვისა და განვითარების საქმეში.

ი. გოგებაშვილი, როგორც ბავშვის გულის ნიჭიერი მესაიდუმლე, დიდი სისადავით, ხალისითა და უშუალოდ იძლევა და ხატავს მათ ცხოვრებას დამახასიათებელი



თვალსაჩინო ნიშნებით, ადვილად შესაგრძნობად და დასაჯერებლად ხდის პატარა მკითხველთათვის ბუნების მოვლენათა კანონზომიერებას, ფრინველთა, მწერთა და სხვადასხვა ცხოველთა მავნებლობა-სარგებლობიანობას. ცხოველებს ანიჭებს ადამიანების ჩვევებსა და განწყობილებებს, რათა ბავშვი დაახლოვოს მათთან და მისთვის ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებას შორის შემაერთებელი ხიდი გასდოს.

ი. გოგებაშვილი ცდილობდა საბუნებისმეტყველო, ბიოლოგიური თემებით, შეძლებისამებრ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებას დაუკავშიროს და ამით უფრო მეტი ინტერესი გამოიწვიოს მისდამი. მოთხრობა დევნილი მეგობარი ანუ ზღარბი, სწორედ ამგვარად არის დაწერილი. ამ მოთხრობის ძირითადი მიზანია ზღარბის თვისებების გაცნობა. იმისათვის, რომ მოთხრობა მშრალ ბიოლოგიურ აღწერას არ დაემსგავსოს, იაკობი იყენებს მასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ფაბულას და გარკვეული სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების ფონზე შლის მას.

მოზარდის ინტერესი სათაურიდან იწყება: ზღარბი-მეგობარი, ზღარბი დევნილი მეგობარი! რატომ ითვლება ზღარბი ადამიანის მეგობრად, და თუ მეგობარია რატომ არის დევნილი? იაკობი ნამდვილი ხელოვნების ოსტატობით ავითარებს შინაარსს და მარტივი თხრობით აცნობს პატარა მკითხველს ზღარბის, როგორც ბიოლოგიურ აგებულებასა და საოცარ თვისებებს, ისე მის როლს სოფლის მეურნეობაში. მკითხველისათვის ნათელი ხდება, რატომ არის ზღარბი ჩვენი მეგობარი, როგორ დევნის მას ზოგიერთი ადამიანი თავისი უცოდინრობით და როგორ უნდა მოუყაროთ ამიერიდან ასეთ სასარგებლო ძუძუმწოვარს.

ი. გოგებაშვილი მართებულად ამტკიცებს, რომ უმცროსი ასაკის ყმაწვილებს კონკრეტული საგანი უფრო იზიდავს და აინტერესებს, მაგრამ არა ყოველი კონკრეტული საგანი, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ცხოვრებასთან. ამ თითქოს უბრალო დებულებაში მოჩანს იაკობის დიდი ნიჭი და იშვიათი დაკვირვების უნარი. მართლაც, ტრადიციული მტკიცება იმისა, რომ ბავშვს იზიდავს ყოველი კონკრეტული საგანი ან მოვლენა,

მიუხედავად იმისა თუ რა კავშირი აქვს ამ საგნებსა და მოვლენებს ბავშვის ყოფასთან, უეჭველად მცდარი, მიღებული აზრია.

მიმოვიხილოთ საანბანო წიგნების ისტორია საქართველოში, როგორც ცნობილია, საქართველოში, უძველესი დამწერლობის მქონე ქვეყანაში, საანბანო წიგნებზე მოთხოვნა თავიდანვე დიდი იყო. ცხადია ეს წიგნები ძველად ხელნაწერის სახით მუშავდებოდა და ვრცელდებოდა, პირველ რიგში მონასტრებში და სავანეებთან არსებულ სკოლებში. პირველ ხანებში ანბანის შესწავლა ხდებოდა სათანადო სავარჯიშოებით, რაც დართული ჰქონდა ჟამნს, ფსალმუნს და სხვა ძირითადად ქრისტიანულ კანონიკურ ძეგლებს. არსებობდა ცალკე საანბანო წიგნებიც, შემკული საკითხავი მასალით ოთხთავიდან, სამოციქულოდან და სხვა საეკლესიო წიგნებიდან. აღორძინების ხანიდან ანბანის სახით იყენებდნენ საერო წიგნებს და განსაკუთრებით ანბანთ ქებას, ეს ჟანრი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში.

გუტენბერგის სასტამბო დაზგამ, ცივილიზაციის ამ დიდებულმა ნამოღვაწარმა, ჩვენში გვიან შემოაღწია. ეს იმით აიხსნება, რომ გარეშე მტერთა ხშირი შემოსევის გამო, საქართველო XVI-XVII საუკუნეებში განუწყვეტელ აწიოკებას განიცდიდა და თბილისშიც კი, ქართული კულტურის ამ უძველეს ცენტრში, სასტამბო საქმის მოწყობა დროულად ვერ მოხერხდა. ამის გამო, ქართული ნაბეჭდი საანბანო წიგნები საზღვარგარეთ ისტამბებოდა. პირველად, ქართული ანბანი რომში დაიბეჭდა 1629 წელს, ხოლო მეორედ, იქვე 1639 წელს. დაახლოებით ასი წლის შემდეგ, რომში კვლავ აღდგა ქართული ანბანის ბეჭდვა, 1743, 1778, 1795 წლებში იქ სამჯერ დაიბეჭდა ჩვენი ანბანი.

თბილისში ქართული ანბანი პირველად 1710 წელს, მეორედ კი 1713 წელს გამოიცა. 1750 წლამდე სხვადასხვა დროს ექვსჯერ გამოიცა თბილისში ანბანი. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რამდენიმეჯერ დაიბეჭდა რუსეთში. 1703 წელს დაიბეჭდა შვეციის სატახტო ქალაქ სტოკჰოლმში.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ საანბანო წიგნები თბილისში პერიოდულად იბეჭდებოდა ბატონყმობის გაუქმებამდე, ბატონყმობის გაუქმებას თან მოჰყვა სახალხო სკოლების მნიშვნელოვანი ზრდა, წერა-კითხვის სწავლება ძირითადად ხელნაწერი ანბანით და სახელმძღვანელოთი ხდებოდა.

XIX საუკუნეში ქართული საანბანო წიგნი სხვადასხვა ავტორთა სახელით გამოიცა. მათ შორის აღსანიშნავია: პლატონ იოსელიანის ანბანი (1836, 1838 წწ.), ივანე კერესელიძის ანბანი (1856 წ.) და პეტრე უმიკაშვილის ანბანი (1864 წ.). დასახელებული ავტორები განსწავლული მოღვაწეები იყვნენ, მათი საანბანო წიგნებიც იმ დროის მოთხოვნებს ვერ პასუხობდნენ.

აქედან გამომდინარე ი. გოგებაშვილმა მტკიცედ დიწყო მუშაობა ქართულ ანბანის საკითხავი წიგნისა და სახელმძღვანელოს შექმნაზე. იაკობ გოგებაშვილის საყოველთაოდ ცნობილი ანბანის სახელმძღვანელო დედა ენა ერთბაშად არ შექმნილა. დედა ენამ განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა.

პირველი სახელმძღვანელო, რომელიც ი. გოგებაშვილმა შეადგინა და გამოსცა, იყო ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის შედგენილი. ამ წიგნის გამოცემის თარიღია 1865 წელი, ხოლო მეორედ გამოიცა 1867 წელს, მესამედ 1868 წელს, მეოთხედ 1869 წელს. წიგნის პირველი გამოცემა ამჟამად არსად არ მოიპოვება, როგორც მეორე გამოცემის წინა სიტყვაობიდან ჩანს, მეორე გამოცემაში პირველ გამოცემასთან შედარებით, ავტორს ანბანის შესწავლის მეთოდიკაში არავითარი ცვლილება არ შეუტანია.

ი. გოგებაშვილის ანბანი შედგენილია ანალიზური მეთოდით. ეს ანბანი სიტყვებიდან იწყება - წერს ავტორი. მას ეს გზა იმიტომ აურჩევია, რომ სწავლის დაწყება ასოებიდან ყმაწვილისთვის მავნებელია, როცა ანბანი ასოებით იწყება, არა ჰაზრს არა ხატავენ, ამიტომ პირველსავე გაკვეთილზე უაზრო საგნად ეჩვენება, ამგვარ მეთოდს შეუძლია მოზარდს სწავლა შეაძულოს და სწავლის მოტივაცია წაართვას. ი.

გოგებაშვილის შეხედულებით ბავშვი თავიდანვე სწავლაში აზრს, საგანს უნდა ხედავდეს.

ი. გოგებაშვილის ანბანის ძირითადი ღირსება ის იყო, რომ იგი ცდილობდა მოსწავლე დაეინტერესებინა სწავლაში. წახალისებინა და სწავლის საქმე გაეადვილებინა მოსწავლეთათვის, აზრიანი, გასაგები სიტყვების საშუალებით, მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურებოდა ანბანის ღირსება შედარებით არსებულ სხვა ანბანებთან, როგორც იყო პ. იოსელიანის, ი. კერესელიძის, ს. მდივანოვის და სხვა. ქართული ანბანები. ხალხის სალაპარაკო ენა და ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს ენა ერთი მეორისაგან არ სხვავდებოდა, არამედ ერთნაირი იყო, მაშინ როდესაც სხვების ანბანებში ეს განსხვავება მეტად დიდი იყო. მაგალითად პლ. იოსელიანის ანბანი ქართული, პირველად იწყება ხუცური ანბანით, შემდეგ კი მიდის მხედრულით. მარცვლების ჩამოთვლის დროს ჯერ ჩამოთვლილია ხუცურად და შემდეგ მხედრულად. ხოლო თვით ანბანისთვის შედგენილი მასალა მოსწავლეებისათვის წარმოადგენდა რთულსა და მიუწვდომელს.

1876 წელს ი. გოგებაშვილმა პირველად გამოსცა დედა ენა, რომელიც შედგენილია ანალიზურ-სინთეზური მეთოდით და ყოველი ახალი ასოს გავლის დროს დასურათებულია საგანი, ქვეშ სათანადო წარწერით და სათანადო დიდაქტიკური სავარჯიშო მასალით.

პირველად გამოცემულ დედა ენაში ანბანის შესწავლა იწყება „ია“- თი, შემდეგ მას მოსდევს: თითი, ხე, სახე, მახე, თოხი, სოკო, იხვი, ვაზი, ვაზი, კუ, მაშა, კონა, დანა, ვირი, ღორი, ძროხა, მამალი, ქათამი გველი, ოფოფი, კამეჩი, კიბო, პეპელა, ბაყაყი, ცხენი, მტევანი, კაჭკაჭი, ფინჯანი და ანბანის შესწავლა მთავრდება, ვაჟი ლოცულობს და ჩიტი ტოტზე ჰკიდია.

ყოველ ზემოთ აღნიშნულ სიტყვას შესაფერისი სურათი მიუძღვის წინ, ხოლო სურათის ქვეშ არის დაწერილი საგნის აღმნიშვნელი სიტყვები, პირველად მსხვილი ასოებით, შემდეგ სიტყვა დამარცვლილია და ბოლოს ცალკე ბგერებად

დანაწილებული ე.ი. მოცემულია სიტყვის სრული ანალიზი. ამის შემდეგ იწყება სინთეზი.

ი. გოგებაშვილი წერს: ყველამ იცის, რომ ცალკე სიტყვებს იმის მათედი ინტერსიც არა აქვს არც დიდებისათვის და არც, მეტადრე პატარებისათვის, რამდენიც ფრაზებსა. ადამიანს ახალისებს არა განმარტებული საგნები, არამედ მათი კავშირურთიერთობა, ერთმანეთთან დამოკიდებულება და ეს კავშირი იხატება ფრაზებში, სიტყვები მხოლოდ მასალაა ფრაზებისა. ამიტომ „აი ია“ იდეალურ ფრაზად მიაჩნია, ამ ასოების და სიტყვების ანალიზით და სინთეზით შესწავლის შემდეგ გაადვილებულია ბავშვებისათვის ფრაზის მიღება, რადგან შესდგება ორი უადვილესი სიტყვისაგან, რომელსაც შეადგენს ორი უადვილესი ხმოვანი ასო.

ი. გოგებაშვილი წინააღმდეგია ერთ გაკვეთილზე ორი ასოს შესწავლისა, რადგან ეს ეწინააღმდეგება ერთ ძირითად პედაგოგიურ კანონსა, თითოჯერ თითო სიმძელე. ამ ყველაფერს კი უაღრესად სწორი დიდაქტიკური მოსაზრებით ასაბუთებს. როცა თქვენ ერთი ასოს მაგივრად ორ ასოს მოაქცევთ გაკვეთილში, ბავშვს გამოუყენებთ ერთსა და იმავე დროს ორ კურდღელსა, ყურადღება მისი ორად გაიყოფა, ერთი ასოს შეთვისებას მეორე ასო დაუშლის და საქმე გაძნელდება, გაჭიანურდება. როცა ბავშვი ერთ სიმძელეს ადგია, იგი თავისუფლად სძლევს მას. მსუბუქად სწარაფად მიდის წინ, ხალისიანად და იმედიანად სწავლობს. ამასთან ადვილად ასატანი ჯაფა ბავშვს სიამოვნებას აგრძნობინებს და სწავლას, სკოლას აყვარებს, პირიქით შემთხვევაში კი მას სწავლა უხდება ძნელად საზიდ ტვირთად, ხალისი და იმედი ეკარგება, უსიამოვნებას გრძნობს, სწავლაზე და სკოლაზე გული უცრუვდება. ამ შემთხვევაში კითხვაში გამართვა ბავშვისა იგვიანებს არა არითმეტიკული, არამედ გეომეტრიული პროგრესით და ამასთან სწავლასა და ბავშვს შორის მყარდება მტრული დამოკიდებულება, რაც ყველაზე უარესია.

ი. გოგებაშვილის მთელ პედაგოგიურ ნააზრევში უმთავრეს და ძირითად მხარეს წარმოადგენს დედენაზე სწავლების საკითხის თეორიული გაშუქება და მისთვის პრაქტიკული ბრძოლა.

ი. გოგებაშვილის გაგებით, დედა ენა ყველაზე ახლოა ბავშვის ბუნებასთან და მხოლოდ მას შეუძლია ბავშვის წესიერი განვითარება. დიახ, მარტოდენ დედა ენას შეუძლია გაუწიოს ბავშვის ბუნებას დალოცვილი გუთნის სამსახური, წერდა ი. გოგებაშვილი, მხოლოდ მას ძალუმს ღრმად შესძრას იგი, მოხსნას, შეიმუშაოს და ავარჯიშოს ძირიან ფესვიანად. დასკვნა ნათელია: ბავშვის ბუნება, მისი თავისებურება მოითხოვს, რომ იგი აუცილებლად ვითარდებოდეს დედა ენის საშუალებით, რადგან უკანასკნელი წარმოადგენს მისი განვითარების ყველა იმ თვისებას, რომლითაც აღჭურვილი არიან მის გარშემო მყოფნი, ხოლო დედა ენიდან გადხვევა იწვევს ბავშვის ბუნებრივ განვითარების გზიდან აცდენას და მთელი მისი ბუნების დამახინჯებას, მისი განვითარების უკულმართ გზაზე დაყენებას.

ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ სწორედ მაშინ იბადება, როცა ი. გოგებაშვილის დედა ენას ხელში პირველად აიღებს. აიღებს, გაშლის და თითქოს ისევ დაიბადაო, ამ სამზეოს უცებ სხვაგვარად დაინახავს, გაიაზრებს, ჰოდა იმ დღეს რა დაგვავიწყებს, ამ უპირველესი წიგნის ყდაზე ამოქარგული ბულბულის სტვენა, როცა ერთბაშად და შიშით ხელი მაშინვე დავაფარეთ. მისი ტკბილი სტვენა-ჭიკჭიკი, ღამით ღამეში გაკიდებული ნაზი ქვითინი, განა მას აქეთ არ გვესმის ხოლმე?

რამდენი ფიქრი, რამდენი ჩხრეკა და რუდუნება იყო საჭირო, რომ ქართულ სიტყვათა ამომწურავ საანძურში ჩვენს დიდ იაკობს სწორედ ეს სიტყვა ეპოვნა. ამ დიდ სიძნელეს თუნდაც ის ადასტურებს, რომ მის ძებნას მან 12 წელი მოანდომა. 1865 წელს პირველად გამოქვეყნებულ ქართული ანბანის შემდეგ ბავშვის სულისა და მისი სამყაროს ისეთი ცოდნით, გენიალური ჩაწვდომითა და მხატვრული ტაქტით შესრულებული დედა ენა მხოლოდ 1876 წელს დაიბეჭდა. ამ „ის“ ნამით არის ჩვენი ქართული განედლებული.

ი.გოგებაშვილმა დედა ენის შედგენისას იხელმძღვანელა წერა-კითხვის სინკრეტულ-ანალიზურ-სინთეზური მეთოდით და უპირატესობა მაინც კითხვა-წერის ხერხს მიანიჭა, რითაც უფრო ცხადყო ბავშვის ბუნებისა და შესაძლებლობების ღრმა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ცოდნა და ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად, ახლებურად, ნოვატორულად გადაჭრა ეს საკითხი.

ცნობილი ადამიანები დედა ენას შემდეგნაირად ახასიათებენ. ნოდარ დუმბაძე: დედა ენას რაკი დედა ჰქვია, მახსოვრობა აღარ სჭირდება, თუ კაცი ხარ და არა პირუტყვი - ენა დედაა შენი და მუდამ უნდა გახსოვდეს, უნდა უკდავყო იგი, როგორც შეგიძლია და რითაც შეგიძლია. ციცერონი: უმეცრობა ღამეა გონებისა, ღამე კუნაპეტი, უმთვარო და უვარსკვლავო. დედა ენა ნათელი გახდა ქართველთათვის ამ ღამეში. შექსპირი: სამეფო კარზე ძვირფასი ჩემთვის წიგნებია. სამეფო გვირგვინად დაედგა ქართველებს დედა ენა. ბრძენი ხალხი ამბობს: უწიგნო სახლი და უფანჯრებო ერთია, ორთავეში ერთნაირად ბნელაო. ფანჯრად იქცა დედა ენა ყველა ქართველის სახლში.

1887 წელს პირველად ი. გოგებაშვილმა ენობრივი ფორმების ცნობიერი შეპირისპირებით დედა ენასთან, ამ წინამძღვრებზე ააგო, შეადგინა და გამოსცა რუსული ენის სახელმძღვანელო რუსკოე სლოვო, რომელიც საფუძვლად დაედო ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების თანამედროვე სახელმძღვანელოს. რომელმაც იმთავითვე საპატიო ადგილი დაიკავა და მას არამარტო საქართველოში არამედ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა სკოლებში იყენებდნენ. ამის შესახებ თვით ი. გოგებაშვილი წერდა: რუსული ენის ცოდნა უდიდესი სიკეთეა ყველა კავკასიელისათვის, რადგან იგი შესაძლებლობას აძლევს მათ იყვნენ დიდი სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქენი, ეზიარონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას და მთელი დედამიწის ერთ მეექვსედზე გაშლილი თავიანთი სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეზე თავს გრძნობდნენ როგორც საკუთარ ოჯახში.

ენობრივი შეპირისპირების ტექსტობრივი ფონი ი. გოგებაშვილმა შეიმუშავა რუსი და ჩვენი ხალხების სულიერი კულტურის ამსახველი საუკეთესო ფოლკლორული და პოეტური ნიმუშებისა და სხვა სასწავლო მასალების მოხდენილი შეთანაბრების გზით. საამისოდ მან მარჯვედ გამოიყენა ერთის მხრივ, ოსტატურად შერჩეული და საუკეთესოდ თარგმნილი შესაფერისი მოთხრობები დედა ენიდან, უკვე ცნობილი ქართველი ბავშვებისათვის და მეორეს მხრივ, კ.უშინსკისა და ლ. ტოლსტოის სასწავლო სახელმძღვანელოებში შეტანილი შესაფერისი სასწავლო მასალები. ასეთი სიმბიოზის შედეგად, რუსკოე სლოვოს ენობრივი ფაქტურა მჩქეფარე სისხლით აივსო და ეს სახელმძღვანელო ქართველი ბავშვებისათვის მისაწვდომ, საყვარელ წიგნად იქცა.

როგორც ი. გოგებაშვილის დედა ენის ასევე მის რუსკოე სლოვოს წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს კავკასიის სასწავლო ოლქსა და საქართველოს ეგზარხატში მოკალათებულმა შავრაზმელმა მოხელეებმა და ანაფორაში გახვეულმა კლერიკალებმა, დეკანოზ ვოსტორგოვის ხელმძღვანელობით. რუსკოე სლოვოს დაუპირისპირეს კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს ინსპექტორის ლევიტსკის სახელმძღვანელო, რომელიც პირველად 1890 წელს გამოიცა. ამ წიგნმა სრული მარცხი განიცადა, მიუხედავად იმისა რომ მას მაღალ თანამდებობაზე მოკალათებული ბევრი გავლენიანი პირი მფარველობდა.

ი. გოგებაშვილის რუსკოე სლოვოს მკაფიო გამარჯვება მნიშვნელოვნად განაპირობა მოწინავე რუსი მასწავლებლებისა და მეთოდისტების მხარდაჭერამ. ამ მხარდაჭერის გარეშე მას აკრძალავდნენ და ვერ გაიკვალავდა გზას ოფიციალურ სფეროში.

რუსკოე სლოვომ უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო რუსული ენის სწავლების ჯეროვან ნიადაგზე დაფუძნებაში, არამედ ქართული სახალხო სკოლის ენობრივი პოტენციალის განმტკიცებაში. ამიტომ, ჩვენი განათლების ისტორია მას დედა ენასა და ბუნების კართან ერთად თვლიდა და თვლის ქართული სახალხო სკოლის ბურჯად.



ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა უდიდესი როლი შეასრულა და კვლავაც ასრულებს განათლებისა და კულტურის განვითარების სფეროში.

## § 2. დედა ენის ზნეობრივი გაკვეთილები

რა არის ზნეობა?

ზნეობა წარმოსდგება სიტყვისგან ზნე. ზნეობის ლათინური სინონიმია მორალი, რაც ასევე ზნეს ნიშნავს. იგივე ითქმის ზნეობის ბერძნულ სინონიმზე ეთიკაზე, რაც ისტორიულად აღნიშნავდა: ცხოვრების წესს, კანონს, ნორმას, ჩვევას, ადათს და ა.შ.

ადამიანის ზნეობრივი აღზრდა გულისხმობს მის დამოკიდებულებას ადამიანების და სხვა ცოცხალი არსებების, სხვადასხვა ერებთან და ქვეყნებთან დამოკიდებულებები, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე დამოკიდებულებები და სხვა.

აღზრდის სისტემაში ზნეობრივ აღზრდას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. იგი ადამიანის ფორმირების და სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. როგორც დიდი მოაზროვნე პლატონი ამბობდა: ადამიანი არის ყველაზე უფრო მშვიდი და ყველაზე უფრო ღვთაებრივი სულდგმული, თუ იგი მოშინაურებულია ჭეშმარიტი აღზრდით. და თუ მას არ მიუღია აღზრდა, ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ ის არის ყველაზე უფრო ველური იმ ცხოველთა შორის, რომლებსაც დედამიწა წარმოშობს.

ადამიანის ზნეობრივ აღზრდას ყველა დროს დიდი ყურადღება ექცეოდა და განსაკუთრებით ყურადღება გასამახვილებელია დღევანდელობაში, რადგან ზნეობრივად დაცემულ ადამიანებს შორის უამრავი დანაშაული ხდება.

ზნეობრივი აღზრდა ადამიანის წარმოშობიდან დღემდე ვითარდება და თანდათან სრულყოფილ სახეს ღებულობს. ზნეობრივად მიღებული ქცევები სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვაგვარი იყო.

მონათმფლობელურ საზოგადოების დროს მოხდა საზოგადოების კლასებად დაყოფა, ბატონები ანუ მონათმფლობელები და დაჩაგრული კლასი - მონები. რა დროსაც მონათმფლობელის ნებისმიერი ქცევა მონის მიმართ გამართლებული იყო. მაგალითად მას შეეძლო მონის გაყიდვა, გასაჩუქრება, მოკლა და ეს ყველაფერი მაშინ ზნეობრივ-მორალურ ნორმად ითვლებოდა.

ფეოდალურ წყობილებაში გაბატონებული კლასი ფეოდალები იყვნენ, ხოლო დაჩაგრული კლასი გლეხები, მაგრამ ამ დროისათვის ფეოდალებს აღარ ჰქონდათ იმის უფლება, რაც მონათმფლობელებს ჰქონდათ მონებთან მიმართებით.

მონათმფლობელებისა და ფეოდალურ წყობილებაში ბატონების ფიზიკური მუშაობა სასირცხვილო საქმედ მიიჩნეოდა, რადგან მუშაობა მხოლოდ გლეხისა და მონის საქმედ ითვლებოდა. ასევე ამ დროისათვის იყო ქალების დამცირება, რადგან მათ არაფრის უფლება არ ჰქონდათ.

დროთა განმავლობაში საზოგადოების ფორმაციასთან ერთად შეიცვალა ადამიანებს შორის დამოკიდებულებები, სწავლისადმი, შრომისადმი, ქალისადმი და ზნეობრივი ქცევის სხვადასხვა ქცევისადმი.

დღეს აღარ არსებობენ მონათმფლობელები, ფეოდალები, ბატონები და სხვა. ასევე შეიცვალა დამოკიდებულება ქალისადმი და თანაბარი უფლებით სარგებლობენ როგორც ქალები, ასევე კაცები.

ზნეობრივ აღზრდას ძირითადად სამი ამოცანა გააჩნია: ზნეობრივი შეგნებისა და რწმენის აღზრდა, ზნეობრივი გრძნობების აღზრდა და ზნეობრივი ქცევის ჩვევების ჩამოყალიბება.

ადამიანები ზნეობრივად რომ აღიზარდონ ამისათვის პირველ რიგში უნდა ავამაღლოთ მათში ზნეობრივი შეგნება. რადგან სკოლებში ცალკე საგნად არ ისწავლება ეთიკა, ამიტომ საჭიროა მასწავლებლის მუშაობა. საამისოდ უნდა გამოვიყენოთ, საუბრები, ლექციები, სპეციალური ლიტერატურის გამოყენება, რაშიც დაწყებით კლასებში დიდად დაგვეხმარება დედა ენა და ი. გოგებაშვილის ნაწარმოებები.

კონკრეტული მაგალითების მოყვანით უნდა გავარკვიოთ მოსწავლეები თანაგრძნობაში, გულისხმიერებაში, გმირობაში, პატივისცემაში, პატიოსნებაში, სიმამაცეში და მათი გამოყენებით პრაქტიკაში, რითაც დავეხმარებით მოსწავლეებს ზნეობრივი ნორმების ამაღლებაში.

ზნეობრივი ქცევის ზერელე ცოდნა საკმარისი არ არის. მთავარია მისი პრაქტიკაში ხშირი გამოყენება. ქცევის სისტემური გამოყენებით იგი ჩვეულებათ იქცევა და ქცევა ადამიანის შინაგან მოთხოვნილებად იქცევა.

ადამიანს როდესაც ზნეობრივად გამართლებული საქციელი შინაგან მოთხოვნილებად ექცევა, ასეთ შემთხვევაში კონტროლიორად მხოლოდ საკუთარი სინდისი ექცევა და არა მასწავლებელი, მშობელი ან საზოგადოება.

აღნიშნულს განიხილავს ი. გოგებაშვილი: მასწავლებლისათვის კონტროლი რას მიქვია, კონტროლი საკუთარი სინდისი უნდა იყოს. პითაგორელებიც კი მოუწოდებდნენ ადამიანებს: სიბილწე არ ჩაიდინო, არც მარტო, არც სხვებთან ერთად და ყველაზე უფრო მეტად, საკუთარი თავის გრცხვენოდეს.

ბავშვის ზნეობრივად აღზრდის საქმეში ჩართული უნდა იყოს სკოლა, ოჯახი და საზოგადოება. აი ამ ჯაჭვის ერთად შეკვრის შემთხვევაში ჩვენ ერთად შევძლებთ

უაღრესად ზნეობრივი ადამიანის აღზრდას. ჯაჭვის მხოლოდ ერთი წევრის მოქმედებით ვერ შევძლებთ სასურველი შედეგის მიღწევას, რადგან ბავშვის აღზრდაში მასში ჩართული ყველა სფეროს წარმომადგენელმა თავისი წილი "აგური" უნდა დადოს, რათა სასურველ შედეგზე გავიდეთ.

პატარების ზნეობრივ სრულყოფას დიდად უწყობს ხელს მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ცოცხალი და მეტყველი სახეებით შთააგონებს ბავშვებს კარგ და ცუდ ქცევას, ურჩევს ცუდს აერიდოს და კარგი საქმე აკეთოს.

ი. გოგებაშვილის აზრით და გაგებით ყველაზე კარგი და ცხოველმყოფელი გრძნობა მოქალაქეებისათვის, არის მამულიშვილური გრძნობის გაღვივება-გამომუშავება. ბავშვის აღზრდა უნდა დაგვირგვინდეს მისი ქვეყნისადი თავდადებული სამსახურისა, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის სურვილის სრული შეგნებით. ქვეყნის ინტერესი არამცთუ მის პირად ინტერესად უნდა გადაიქცეს, არამედ უფრო მაღლა უნდა იქნეს დაყენებული. ამიტომ ბავშვის აღზრდა, ი. გოგებაშვილის რწმენით, უნდა ხდებოდეს ეროვნული კეთილდღეობის საფუძველზე, ახალგაზრდობას მისაბამავად, ნიმუშისათვის უნდა მიეცეს მკვეთრი ეპიზოდები თავდადებულთა ცხოვრებიდან.

თვითონ ი. გოგებაშვილი შემდეგნაირად გამოხატავს ამ შეხედულებას თავის რეცენზიაში საბავშვო ჟურნალის ნობათის შესახებ: ისტორიულ მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვის აღზრდაში. საუკეთესო მამულიშვილების მხურვალე სიყვარულით თავისი ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დავიწყება მის სიკეთისათვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის, უპირველეს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდი თაობის შორის მაღალი ზნეობრივი პრინციპებისა. აქ საჭირო და სასარგებლოა არა ხელოვნური აღწერა გმირების მთელი ცხოვრებისა და მოქმედებისა, არამედ ცალკ-ცალკე ეპიზოდების მოთხრობა ცოცხალ და მარლიანად. რასაკვირველია, ეს ისტორიული პატარა მოთხრობები უმეტესად

უნდა ამოღებული იქნას სამშობლო ისტორიიდან, თუმცა საზოგადო ისტორიიდან შეიძლება ზოგიერთი მეტად შესანიშნავი შემთხვევების ამორჩევა.

ი. გოგებაშვილი ისტორიულ მოთხრობებში ქვეყნისათვის თავდადებულ საქმეში ხშირად უპირისპირებს ფეოდალური კლასის წარმომადგენელს, "დიდ" კაცს, გლეხს და უპირატესობას ყველგან გლეხს ანიჭებს, ნამდვილ მამულიშვილს გლეხებში უფრო ხედავს.

დედა ენა მდიდარია ლიტერატურული შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშებით, რომელიც დიდ როლს ასრულებს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. მათი უმრავლესობა მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდას ემსახურება.

ბავშვის სულიერი ცხოვრების მრავალი საიდულო მხარე გააშუქა ი. გოგებაშვილმა თავის მხატვრულ შემოქმედებაში, მაგრამ მის ფსიქოლოგიურ მოთხრობათა შორის განსაკუთრებულია იავნანამ რა ჰქმნა? ეს შესანიშნავი ნაწარმოები დამსახურებული სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს ქართველ ახალგაზრდებში. ამ ნაწარმოებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბავშვო ლიტერატურაში. მწერალი პატრიოტულთან ერთად ყურადღებას ამახვილებს ინტერნაციონალიზმსა და ბავშვის ფსიქოლოგიაზე. იავნანას მოსმენამ შემლო 13 წლის ლეკად ქცეული ქეთოს თავისი ადრინდელი ბავშვობის დაკარგული მოგონებების აღძვრა და კვლავ ქართველ ქალად ქცევა. ამით ავტორმა გვიჩვენა ბავშვის ბუნების ცვალებადობა, გარემოსა და გარემოების ცვალებადობის მიხედვით და მუსიკალური ემოციების მნიშვნელობა ადამიანის ფსიქოლოგიური გარდაქმნის საქმეში. ბავშვის აწმყო უფრო ეფექტიანად მოქმედებს ვიდრე წარსული. აწმყო უფრო ძლიერია და ადვილად ფარავს ბავშვის ცნობიერებაში მის წარსულს. ამიტომ მართალია იაკობი, როდესაც წერს: წარსული ნაშთი, ხსოვნა, მოგონება მის გულსა და გონებაში მალე სუსტდება, მკრთალდება და თითქოს სრულიად იშლება. აწმყო კი სრული ძალით მოქმედებს მასზე და იჭერს წარსულის ადგილს მთლად, განუყოფლად (5,97).

მშობლიური გარემოცვა, იაკობის აზრით, დიდ ეფექტს იწვევს ადამიანის, ბავშვის, არა მარტო სოციალურ-ფსიქოლოგიურ, არამედ ფიზიკურ გარდაქმნაშიც.

მოვლენათა სამყარო, რომელიც ავტორს ამ შემთხვევაში უნდა ეჩვენებინა ადამიანის სულიერი ცხოვრების სამკვიდროა. ერთის მხრივ, განცდები და მათი გარკვეული სახის მიმდინარეობა და მეორეს მხრივ, პიროვნების არსებაში ის ღრმად მდებარე ცვლილებები, რომელიც ამ მიმდინარეობას შესაფერად საზღვრავენ, მოთხრობის ფსიქოლოგიური არსი ამაშია და ყოველივე დანარჩენი, ბუნებისა და სოფელ ვაშლოვანის აღწერა, ქეთოს დედ-მამის დახასიათება, ლეკებისა და ქართველების ურთიერთობა, ბავშვის მოტაცება, ქეთოს გათხოვება დასხვა, მხოლოდ მხატვრული გასიუჟეტებაა, ამბად ქცევია ამ ფსიქოლოგიური არსისა, რომლის გაშლაც მათ გარეშე მშრალ მეცნიერულ ტრაქტატს მოგვცემდა და არა ჰუმანური გრძნობების აღმძვრელ მხატვრულ ნაწარმოებს. ნაწარმოების ობიექტური მიზანიც ხომ თავისთავად პედაგოგიურ-აღმზრდელობითია. იგი უშუალოდ გამიზნულია იმისათვის, რომ წამკითხველს პატრიოტული და მაღალი მორალური გრძნობა აღუძრას, როგორც წამქეზებელი სტიმული მისი შემოქმედებისა. მოთხრობის სიუჟეტი და მთელი მისი კომპოზიცია ავტორს მოფიქრებული აქვს პედაგოგიურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისით, მისი მნიშვნელობა განუსაძღვრელია, ავტორი გადმოგვცემს თუ რა შეუძლია მშობლიურ ენას, სიმღერასა და თვით "იავნანას".

იაკობის აზრით, სამშობლოს სიყვარული არა არის თანდაყოლილი გრძნობა. იგი შენაძენი, შეთვისებული, აღზრდით მოპოვებული სიკეთეა. იგი მოვლას მოითხოვს, ზრუნვას საჭიროებს. სწორედ ამ მიზნით წერდა ისეთ ისტორიულ მოთხრობებს, როგორიც არის: თავდადებული მღვდელი თევდორე, ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, ასპინძის ომი, სამასი თავდადებული გლეხი, თავდადებულნი ქართველნი და სხვა.

ი. გოგებაშვილი თავის ნაწარმოებში თავდადებული მღვდელი თევდორე შემდეგნაირად აღწერს: ამ სახელოვან მამულიშვილს რომ თავი არ გაემეტნა, მეფეც დატყვევებული შეიქმნებოდა ყველასაგან და ისეთ სირცხვილში ჩავარდებოდა, რომ

სიკვდილი ბევრად სჯობია იმისთანა სიცოცხლეს. ახლა? ახლა კი, მთელ საქართველოში სიხარული დატრიალდა. და ბოლოს ცოლ-შვილს თავდადებულისას. ქვეყანა პატრონად და მფარველად აღმოუჩნდა და თვით თევდორემ მოიპოვა იმისთანა სახელი, რომელიც ქებით, დიდებით და კურთხევით იხსენება ყველა ქართველისაგან, ვიდრე დედამიწის ზურგზედ ჩვენი ერი იცხოვრებს. და სწორედ ასეთი რწმენა, რომ ქვეყნისათვის თავდადებულის სახელი დიდებით და სიყვარულით შეიმოსება თანამედროვეთა და შთამომავლობის ხსოვნაში, ხოლო მხდალის, მოღალატის სახელი და ცხოვრება სიკვდილზე უარესია და წყევლა-კრულვით მოიხსენიება. მას სურდა ჩვენი მომავალი პატრიოტული სულისკვეთებით აღეზარდა და საამისოდ მასალას იგი, პირველ ყოვლისა, ხალხის ისტორიაში პოულობდა.

მოთხრობაში ასპინძის ომი იაკობი აცოცხლებს საქართველოს ისტორიის ერთ შესანიშნავ ფურცელს. ქართველი მცირე რიცხოვანი ჯარის განადგურება ერეკლე მეორის მეთაურობით მეტად მდიდარ მასალას შეიცავს, არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით, არამედ პატრიოტულ-აღმზრდელობითი თვალსაზრისით და სწორედ ამ მიზანს ისახავს ავტორი.

ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, შეიძლება ჩაითვალოს ისტორიულ მოთხრობად, რადგან მასში გადმოცემულია ისტორიული ფაქტები, მაგრამ ოთხრობის მთავარი კვანძი ხალხურ თქმულებას ეყრდნობა. ამ მოთხრობის მთავარი მიზანია, გადმოგვცეს მეფისა და ქართველი ხალხის ურთიერთობა. მოთხრობის მიხედვით ძალიან დაახლოებული ყოფილა ერეკლე მეფე ხალხთან, ყურადღებით და გულისხმიერებით ეპყრობა მათ. ხალხიც აფასებს ერეკლეს, მოსწონს და უხარია მისი გმირობა, სიმამაცე და მზად არის მას გაჰყვეს პირველსავე მოწოდებაზე. ამ მოთხრობის მიხედვით მხედრობა თავს სწირავს მეფისათვის, რადგან ეს არის თავგანწირვა სამშობლოსათვის. ინგილო ქალის შვილები თავს სწირავენ მამულისათვის, თუმცა ამით გახარებულია დედა, რადგან გმირი შვილები ჰყავს, ესაა მისი ნუგეში, მაგრამ

ამით არ იფარება მისი პიროვნული ტრაგედია. ავტორი სწვდება მის სულს და მღელვარებით აღნიშნავს, რო დედის ხმაში-დიდ ნუგეშთან უღრმესი და უმწარესი დედობრივი სიმწუხრე ცხადად ისმოდა. ასეთია ქართველი ქალი, როგორც პატრიოტი, მამულიშვილი და როგორც დედა.

ისტორიულ-პატრიოტულ მოთხოვნათა ციკლიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოთხოვნები საერთო სათაურით; თავდადებულნი ქართველნი და თავდადებული ქართველი ეჯიბი, ეს თხუზულეხანი იძლევიან მამაცობისა და თავგანწირვის იშვიათ ნიმუშებს და იძლევა მისაბამ მაგალითს. იოთამ ზედგენიძე თავს სწირავს საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი მეფის გიორგის გადასარჩენად, ისე როგორც თავდადებული ეჯიბი-ავაგ ათაბაგისათვის.

ისტორიულ მოთხოვნებს, როგორც იაკობი აღნიშნავდა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში, საუკეთესო მამულიშვილების მხურვალე სიყვარული თავისი ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დავიწყება მის სიკეთისათვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის, უპირველეს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდ თაობას შორის მაღალი ზნის პრინციპებისა.

პატრიოტიზმი, როგორც მაღალი ზნეობრივი პრინციპი, იაკობის მიხედვით მუდამ თან ახლდა ძველად ქართველი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ამგვარი მაღალი ზნის მასწავლებელი ეპიზოდებით წერს იაკობი, სავსეა ჩვენი ხანგრძლივი და მღელვარე ისტორიული წარსული და მას, როგორც მწერალს და პედაგოგს, მიზნად ჰქონდა, ხელი შეეწყოს ხალხსა და ახალგაზრდობაში ამ ეპიზოდების ფართო პოპულარიზაციას.

ადამიანთა ზნეობრივი დაცემის მთავარ ნიშნად ი. გოგებაშვილს მიაჩნდა: სიზარმაცე, სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრება და მუქთახორობა. ამიტომ მან დედა ენაში გარკვეულწილად ისეთი ნაწარმოებები შეიტანა, რომლებიც ბავშვის ზნეობრივ აღზრდას ემსახურება. ეს ნაწარმოებები მოცემულია ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნში: მაგალითად, ზარმაცი და ბეჯითი, სწავლაზედ ზარმაცი, ჭამაზედ მამაცი, ჯერ შრომა,



მერე ხტომა, თხა და გიგო, სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდევს, მეზობლები, ნაპოვნი სავარცხელი, ბერიკაცი და ნამყენი, ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს და სხვა მრავალი.

ნაწარმოებში სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდევს, დაგმობილია პატარა ვანოს საქციელი, რომელსაც წიგნი თვალის დასანახად ეჯავრებოდა და სულ თამაშობასა და ემშაკობაში იყო გართული. მოთხრობიდან ბავშვები იგებენ, თუ როგორ ჩააფიქრა ზარმაცი სანდრო მათხოვრის ნაამბობმა, რომელიც სიზარმაცემ, ცელქობამ, სწავლაზე გულის აცრუებამ, შრომის უნარ-ჩვევების უქონლობამ დაუძღურებამდე და მათხოვრობამდე მიიყვანა. მოთხრობის დასარულს ვკითხულობთ: გლეხის სიტყვები სანდროს გულს ელდასავით ეცა. ამ დღიდან სანდრო სრულიად სხვა ბავშვად იქცა. სიზარმაცე, უსაქმურობა და ემშაკობა ჭირივით შეიძულა, ბეჯითობა კი სულითა და გულით შეიყვარა. დღე და ღამე სულ სწავლაში იყო გართული და ძილშიც კი გაკვეთილებს იმეორებდა. სანდრომ ბოლოს სწავლა ჩინებულად დაამთავრა და ცხოვრებაში დაიმსახურა სასარგებლო მოღვაწის სახელი.

ნაწარმოებში ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს, გაკიცხულია ორი ბიჭის საქციელი, რომლებიც გზაში ნაპოვნი დამპალი თოკის მისაკუთრებისათვის ჩხუბის დროს წუმპეში ჩავარდნენ. ეს მოთხრობა ბავშვებს შთააგონებს ერთმანეთის პატივისცემას, თავშეკავებას და არწმუნებს მათ, რომ ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს.

ეგოისტური თვისებები, კერძომესაკუთრული ტენდენციებია დაგმობილი აგრეთვე მოთხრობებში, ნაპოვნი სავარცხელი და ჩხუბი არაფერზე.

ჩხუბის, კინკლაობის და ერთმანეთის გაუტანლობის წინააღმდეგაა მიმართული ასევე პატარა მოთხრობა მეზობლები. ერთ-ერთმა გლეხმა კარის მეზობელს სიმინდის ნაკვეთში მისი ცხენის შეპარვის გამო ზარალი ერთი სამად გადაახდევინა. შემდეგში, როცა ამ ეგოისტი გლეხის ხბომ იმავე კარის მეზობელს ბოსტანი გაუოხრა, კეთილმა მეზობელმა ხბო პატრონს მიუყვანა და უთხრა: აი, შენი ხბო, ჩემი ბოსტნიდან მოგიყვანე, ჩაიბარე, ჩხუბი და ჯიბრი არ შეშვენითო. პირველ მეზობელს თავისი საქციელის შერცხვა, ბოდიში მოიხადა და უთხრა: ჩინებული კაცი ყოფილხარ, ივანე!

მიერთვი უკანვე შენი ცხენის ფული და ვიცხოვროთ მეგობრულად როგორც კარგ მეზობლებს შემვენითო.

მოთხრობაში სირცხვილის აშორება, სანდრომ მეზობლის ვაშლი მოწყვიტა, მაგრამ დანაშაულის გაცნობიერებამ შეაწუხა, სინდისის გასაწმენდად ვაშლის პატრონთან მივიდა და აღიარა: ნათლიდედ, გეთაყვა, ნუ გეწყინება: თქვენს ვენახში, განაპირა ხეხილზე ოთხი ვაშლი მოვწყვიტე პირის გასასველებლად და სამაგიერო სიკეთეს გადაგიხდი! ბუნებრივია, გულახდილ ბავშვს დიასახლისმა მიუგო: შეგარგოს ღმერთმაო! რამაც ბიჭუნა მდგომარეობიდან გამოიყვანა და ვაშლები ტკბილად შეირგო, რადგან შეძლო სირცხვილის აშორება. მსგავსი მაგალითები მოზარდებში დანაშაულის გრძნობის გაცნობიერებასა და გააზრებას გულისხმობს.

ბავშვისა და დედის მგრძნობიარე და მოსიყვარულე ბუნება-განწყობილებებია გადმოცემული მოთხრობაში ვანო და ფრინველები, რომელიც იაკობს, აკაკისთან ერთად აქვს გადაკეთებული და გამოცემული. დედის ნახვას დანატრებული ბავშვი ფრინველებს შესთხოვს თანაგრძნობას. ფრინველებმაც მრავალი სასიხარულო ამბავი შეატყობინეს, რითაც გაახარეს და სიკეთის მოლოდინით აავსეს ყმაწვილი.

ი. გოგებაშვილის საყმაწვილო მწერლობის თემატიკა მასშტაბურია. იგი მოიცავს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს: მშობლიურ გეოგრაფიას, ისტორიას, ბუნებას, ბავშვთა სამყაროს და სხვა.

იაკობი ბავშვებისათვის არჩევდა შესატყვის თემატიკას და საგანგებოდ ქმნიდა თხუზულებებს პატარებისათვის, მისაწვდომ და გასაგებ ენაზე უხსნიდა პატარებისათვის ურთულეს მეცნიერულ მოვლენებს.

სულგრძელობის ამგვარი მაგალითები ხელს უწყობს მოზარდებში მაღალზნეობრივი გრძნობების ჩამოყალიბებას.

ი. გოგებაშვილი პატარებისათვის საგანგებოდ არჩევდა მეგობრობის, კაცთმოყვარეობის გრძნობის აღმძვრელ მოთხრობებს, ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზებს

და გამოცანებს. იაკობის დედა ენაში მოცემული ყოველი მოთხრობა, ლექსი, ანდაზა თუ სხვა მასალა ემსახურება მოსწავლეებში სწავლის, შრომის, მშობლიური ბუნებისა და ხალხის სიყვარულის აღზრდას, მტკიცე ხასიათის, ნებისყოფის, ჰუმანიზმის, მეგობრობის, სამართლიანობისა და სხვა თვისებების ჩამოყალიბებას.

ი. გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებს აგებდა აღმზრდელობითი სწავლების პრინციპზე, დიდი პედაგოგი მიზნად ისახავდა მათი ოსტატურად გამოყენებით განხორციელებულიყო მომავალი თაობების ზნეობრივი, გონებრივი, შრომითი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდა. სახელმძღვანელოს შინაარსი, - წერდა იაკობ გოგებაშვილი, - მისი შედგენილობა და ელფერი სავსებით უნდა შეესაბამებოდეს გარშემორტყმულ სინამდვილეს, ცხოვრებას.

ბავშვი რომ ზნეობრივად აღიზარდოს, მასში უნდა ჩამოვაყალიბოთ პატრიოტიზმის გრძნობა, რასაც უაღრესად კარგად აღწერს ი. გოგებაშვილი: მიუხედავად პატრიოტიზმის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, მამულის სიყვარული, ეროვნული გრძნობა არ არის თანდაყოლილი, რადგან ასეთ შემთხვევაში ქვეყანაზე არ იქნებოდა უბედური კუთხე, ყოველი ქვეყანა მამულიშვილებით, სამშობლოს კეთილისმყოფელებით იქნებოდა სავსე. სამწუხაროდ, ბუნება არ ზრუნავს პატრიოტიზმზე, რადგან ქვეყნად იბადება არა საზოგადოება, არამედ ინდივიდუმი, ცალკე პირი და არსებობისათვის მას მინიჭებული აქვს საკუთარი თავის სიყვარულის გრძნობა, ეგოიზმი. ბუნებისათვის არ შეიძლება არსებობდეს ხალხი, ერი, კაცობრიობა, ამდენად, ადამიანს იგი ვერ დაანათლავს საზოგადოებრივ გრძნობას: მამულის სიყვარული, ერისკაცობა, პატრიოტიზმი საზოგადოებამ და ცაკლეულმა პირებმა უნდა ჩაუნერგოს მომავალ თაობას, აღზარდოს იგი ამ სულისკვეთებით. თავისთავად, ეს ძალზე რთულია, საამისოდ დიდი მუშაობაა ჩასატარებელი. მამულის სიყვარულის ამაღლებულ და ფაქიზ გრძნობას ნაზ კაკლის ხეს ჰგავს, რომლის აღმოცენებისათვის საჭიროა შესაფერისი ნიადაგი, შეზავებული ჰაერი, რადგან იგი ვერ ეგუება დამჩაგვრელი ხეების სიახლოვეს, დიდხანს იზრდება და

მხოლოდ დასრულების შემდეგ აამებს თვალს, ახარებს გულს და ქვეყანას ასაზრდოებს. ამრიგად, მარტო სილამაზის ხილვით და ნატვრით არე-მარე ვერ დამშვენდება, ამისათვის საჭიროა დარგვა, მოფრთხილება, გაზრდა, რათა საბლოოდ ისიამოვნო მისი ნაყოფით და გამაგრილებელი ჩრდილით. ასევე, პატრიოტიზმისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ამ წმინდა გრძნობის გაღვივება. მის აღზრდას ხანგრძლივი დრო და ზრუნვა სჭირდება, სჭირდება მოვლა, ყურის გდება და ერთგულება. ის კაკლის ხესავით ნაზია, მისი ფესვებივით ღრმაა, მისი ტოტებივით განიერია და მისი წვეროსავით მაღალია. ამიტომ არის აუცილებელი, რომ მასზე მთელმა საზოგადოებამ, თითოეულმა ადამიანმა უნდა იზრუნოს ( ბასილაძე ნ.პედაგოგიკის ისტორია,2,167 ).

ამრიგად დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი დედა ენით ბავშვებს ისეთ მასალებს აწვდიდა, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებდა მომავალი თაობების მეხსიერებაში და კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა მათ ზნეობრივ ფორმირებაზე.

გაივლის წლები, თაობები შეიცვლებიან, მაგრამ ქართველი კაცის მეხსიერებაში არასოდეს წაიშლება ი. გოგებაშვილის სახელი. იაკობი და მისი უკვდავი დედა ენა იცოცხლებენ მანამ, სანამ იცოცხლებს ქართველი ერი, ჩვენი მშობლიური ქართული ენა და ჩვენი სამშობლო საქართველო.

### § 3. იაკობ გოგებაშვილი და აჭარა

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის აჭარის საზღვრებს იაკობ გოგებაშვილი შემდეგნაირად აღწერს: აჭარას უჭირავს ჩრდილოეთ ნაწილი მესხეთისა და ისაზღვრება: ჩრდილოეთით - გურიით, აღმოსავლეთით - ახალციხის მხრითა და ჯავახეთით, სამხრეთით - კარჩხალის ანუ შავშეთის ქედით და ჭოროხით, დასავლეთით შავი ზღვით.

როგორც ი. გოგებაშვილი აღწერს: აჭარა დაფენილია არსიანის მთის კალთებით, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მისდევს და აჩენს მრავალ ხეობას; ამ ხეობებზე მირბის მთის პატარა ნაკადულები, კალმახებით სავსე ნიადაგს ანაყოფიერებს და შემდეგ ჭოროხს ერთვის. ეს ხეობანი არიან საკმაოდ განიერნი და იპყრობენ მშვენიერ სახნავ-სათეს მინდვრებსა და სამოვრებს. ამიტომ ჭირნახულის მოყვანა და შინაური საქონლის შენახვა შეადგენს აქ უმთავრეს წარმოებას. ჭირნახულში თითქმის მარტო სიმინდს სთესავენ; პური და ქერი მოჰყავთ, მაგრამ ძალიან ნაკლებად, ამის მიზეზი ის არის, რომ სახნავ-სათესი მინდორი ნაკლებად აქვთ და მხოლოდ სიმინდს შეუძლიან იმოდენა მოსავალი მისცეს თავის პატრონს პატარა ადგილიდანაც, რომ მთელი წლის სარჩოდ ეყოს. შემდეგ ახასიათებს მებაღეობას: ბაღოსნობაც გავრცელებულია. ხეხილი აქ ყოველგვარი ხარობს, მხოლოდ ზეთის ხილი, ლიმონი და ფორთოხალი ვერ იტანს აქაური მაღლობი ადგილების სიცივეს და ხეირობს მხოლოდ მყუდრო და დაბლობ ადგილებში.

ი.გოგებაშვილი ყურადღებას ამახვილებს აჭარის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ დახასიათებაზე და იმის დასტურად, რომ აჭარლები აგებულებით, ენითა და

ჩვეულებით ნამდვილი ქართველები არიან, იხსენებს გიორგი ყაზბეგის მოგზაურობას აჭარაში, როცა აჭარა ჯერ კიდევ თურქეთის უღელქვეშ იყო. აი რას წერს გ.ყაზბეგი: სოფელ ღორჯომს რომ დავეშვით, შორითგან ნახირი დავინახეთ, თანაც პატარა ბიჭების გროვა შევამჩნიეთ. მალე იმათი ჟივილ-ხივილი ცხადად მოგვესმა. აჭარლები პირველად ვნახე და ვფიქრობდი, ნუთუ ერთმანეთს თათრულად ელაპარაკებიან? ნუთუ საქართველოს არსება აჭარაში გაქარწყლებულა? ბოლოს ახლოს მივედი და ღმერთო ჩემო, ისევ ქართველები ყოფილან, ისევ ქართულად ლაპარაკობენ. ჩვენი მისვლა რომ დაინახეს, ბავშვები დაჩუმდნენ და ფიცხლავ გზაზე შეიკრიბნენ ჩვენს საყურებლად. ჩვენც დავდექით. თხუთმეტიოდე ყმაწვილი ბიჭი ერია მათ შორის და რამდენიმე კიდევ უფრო ახალგაზრდა, მაგრამ უნდა შეგეხედათ, რა მშვენიერი სახისანი იყვნენ. მონძები რომ გახადოთ, გეგონებათ, დიდ-კაცის დარბაზში დაზრდილანო, ისეთი თეთრ-წითელნი და ლამაზნი არიან; ჩვენ მთიულებსა ჰგვანან, მთიულების სახის იერი მოსდევთ. ვინც კი შეგვხდა, სულ ტანადი, მხარ-ბეჭიანი და თვალადნი იყვნენ. სუფთა გაწმენდილი სახე, ცოტად მოდიდო ცხვირი და შევარდენის შეხედულება, გრძელი და ხშირი თმა, ყაბალახ შემოხვეული - ეს ყოველი წარმოადგენს აჭარელის სურათსა. ახასიათებთ საუკეთესო ზნეობრივი თვისებები აჭარლებს: მოხუცებულის პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა, ღირსეულობა, ზრდილობა, თავაზიანობა, ცნობისმოყვარეობა და დაუღალავი გამრჯეობა.

ი. გოგებაშვილი თავის შრომაში ბურჯი ეროვნებისა წერს, რომ ამ კუთხის შვილები ვაჟკაცობით, გამბედაობით და მხნეობით არიან შემკულნი, მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი განსაცდელი, ვარამი გადაიტანეს, მაინც შეინარჩუნეს ქართული ეროვნული თვითმყოფადობა. ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხამდის დარჩნენ ქართველებად.

ოსმალთა ბატონობისგან აჭარის გათავისუფლების შემდეგ რეაქციული ძალები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ქართველი მაჰმადიანების დაახლოება-

დაკავშირებას არა მარტო რუსეთთან, - არამედ ქართველებთანაც. აჭარის მოწინავე შვილები შეუპოვრად იცავდნენ თავიანთი ეროვნული წარმოშობის საფუძვლებს: ისმაილ კაიკაციშვილი გაზეთ ახალ ივერიაში წერდა: ჩვენ... ვიცით თუ ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები. ჩვენ ქართველები ვართ გვარტომობით.

ჰაიდარ აბაშიძე ბათუმის გაზეთში წერდა: „ჩვენ თურქები, ოსმალები კი არა, ქართველები გახლავართ... მაჰმადიანები რომ ვართ განა ქართველები აღარ ვართ? მაშ სადაურია ჩვენი დედა ენა, ჩვენი გვარი, რა არის ეს ისტორიული ნაშთები, რომლებიც ღალატებენ ჩვენს ვინაობას თვით ქვანიც კი ღალატებენ, თუ ვინ ვართ ჩვენ.

ი. გოგებაშვილი დაუნდობლად ებრძოდა გაზეთების იმ კორესპონდენტებს რომლებიც ერთმანეთში ურევდნენ რელიგიას და ეროვნებას, ყოფილი თურქეთის ქართველებს თურქებს უწოდებდნენ, რომელთანაც მათ გარდა რელიგიისა, არაფერი აქვთ საერთო. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ - ამ ფართო კუთხის ისეთი მკვლევარნი, როგორების იყვნენ: ზაგორსკი, ყაზბეგი, ბაქრაძე და უსლარი ერთხმად ადასტურებდნენ, რომ მისი მცხოვრებნი წმინდა ქართული მოდგმისაა. მაინც ჰქონდა ადგილი სარწმუნოებისა და ეროვნების აღრევის ფაქტებს, რასაც ბოლო უნდა მოღებოდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ გადაწყვეტილება მიიღო აჭარაში ქართული სკოლის გახსნისა, რომელიც აღმოფხვრიდა აჭარაში თურქთა და რუსთა გავლენებს და განათლების პრობლემებს.

ბათუმში სკოლის გახსნაზე ნებართვის მისაღებად მეფის მთავრობასთან მოლაპარაკების საქმე წერა-კითხის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძეს მიანდო. ნებართვის მიღების შემდეგ, საზოგადოების დავალებით ზ. ბაქრაძემ ბათუმის სკოლისათვის დაიქირავა სკოლის შენობა, მოიწვიეს მასწავლებლად ა. ნანეიშვილი და ბათუმში 1881 წლის 23 მარტს გაიხსნა პირველი ქართული სკოლა.

სკოლის გახსნას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა განსაკუთრებით აქტიურობდნენ ადგილობრივი ბეგები, რომლებიც თურქულ გავლენებს აძლიერებდნენ.

სკოლის მიზანს წარმოადგენდა რაც შეიძლება მეტ მაჰმადიან ქართველ ბავშვს მიეღო სკოლაში ქართულ ენაზე განათლება და ესწავლათ დედა სამშობლოს სიყვარული, რაც დაეხმარებოდა მათში აღდგენილიყო „ჩატეხილი ხიდი“ ძმებს შორის. ამ მიზანს აჭარაში ემსახურებოდა როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ასევე დიდი პედაგოგი ი. გოგებაშვილი.

სკოლაში მაჰმადიანი ქართველი ბავშვების მიღების პრობლემას წარმოადგენდა სარწმუნოების სწავლება, აღნიშნულ საკითხზე საზოგადოებას პრობლემა არ ჰქონდა, მაგრამ ცდილობდნენ ისეთი პიროვნება აეყვანათ ისლამის მასწავლებლად რომელსაც ეცოდინებოდა ქართული ენა, მოსიყვარულე იქნებოდა ქართველთა ერისა და გავლენები ექნებოდა ადგილობრივ ქართველ მუსლიმთა თემთან, რათა რაც შეიძლება მეტი ბავშვი მოეზიდა სკოლაში.

ბათუმის პირველ ქართულ სკოლაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ მასწავლებლები: ა. ნანეიშვილი, მ. ნათაძე, მ. შარაშიძე, ი. გოგოლაშვილი, ა. მგელაძე და სხვანი. რომელთაგანაც განსაკუთრებული ამაგი ჰქონია მ. ნათაძეს რომლის დროსაც საკმაოდ მაღალი იყო მუსლიმ ქართველთა რაოდენობა სკოლაში, რადგან როგორც ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, მ. ნათაძე უმნიშვნელო ხარეზების მიუხედავად, არაჩვეულებრივად უძღვება თავის საქმიანობას, აქვს გავლენები ადგილობრივ მოსახლეობაში, რაც დასტურდება სწავლის ხარისხითა და მოსწავლეთა რაოდენობით.

ი. გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. ბათუმის სკოლის შემოწმებისას მასწავლებელ მ. ნათაძის შესახებ ი. გოგებაშვილი წერს: მეტადრე მოსაწონია მოსწავლეთა ცოდნა სამშობლო ქვეყნისა, საქართველოსი, რომლისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია მასწავლებელსა. არც ერთ სკოლაში არ მინახავს, რომ ამდენი ყურადღება მიექცოს



რომელიმე მასწავლებელს სამშობლოს შესწავლისათვის, რომელიც ბატონ ნათაძეს უხმარნია. მხნე, გამოცდილი, ხერხიანი და ერთგული მასწავლებელია.

ბათუმის სკოლის შენახვა ძალიან ძვირი უჯდებოდა საზოგადოებას, უნდა აერჩიათ ბათუმის სკოლის სამზრუნველო კომიტეტი, სადაც დასახელდა იაკობის მიერ კანდიდატურები და სკოლის შენობაც გამოუსადეგარი იყო სწავლისათვის, რაც აღნიშნა ი. გოგებაშვილმა ერთ-ერთ საზოგადოების კრებაზე. ამიტომ დადგა საკითხი, ბათუმის სკოლის ყოფნა არ ყოფნის საკითხი. კრებაზე აღნიშნულ საკითხს დათანხმებიან და ბათუმში გაუგზავნიან ი. მაჩაბელი და ნ. ცხვედაძე, რომლებსაც დაუწუნებიათ სკოლის შენობა. აურჩევიათ იაკობის კანდიდატურები სამზრუნველო კომიტეტში: ეკატერინე ერისთავი (თავმჯდომარე), პელაგია მიქელაძისა (ამხანაგი თავმჯდომარის), მელიტონ ლორთქიფანიძე, ეგნატე გედევანიშვილი (ხაზინადარი), დავით კობიევი (მდივანი), დავით ჩხეიძე (პოდპოლკოვნიკი), ხუსეინ აბაშიძე და სხვა. ი. მაჩაბელს და ნ. ცხვედაძეს მოუგვარებიათ სკოლის აგების საქმე. მშენებლობა დაწყებულა 1893 წელს და დამთავრებულა 1895 წელს, ახლანდელი ბათუმის პირველ საჯარო სკოლის ტერიტორიაზე. იაკობი ბათუმის სკოლის ბედს უკავშირებდა მასწავლებელს, სკოლის ბედი სწორედ მასწავლებელთა მხარზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაართმევს თავს თავის პასუხისმგებლობას ქვეყნისა და თემის წინაშე.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუკლია ქართველ მუსლიმ მოსწავლეთა რაოდენობას სკოლაში, ამის მიზეზად სახელდებოდა მეჩეთებისა და მუსლიმური სასწავლებლების მედრესეების რაოდენობის ზრდა. რეაქციული ძალები ხელს უშლიდნენ აჭარელთა დაახლოებას როგორც რუსეთთან ასევე მათ ძმებთან ქართველებთან. რეაქციული ძალები ეწეოდნენ აგიტაციას სკოლის წინააღმდეგ, აღვივებდნენ შუღლსა და მტრობას, აფერხებდნენ აჭარელთა დაკავშირებას სხვა საქართველოსთან, ეწინააღმდეგებოდნენ ქართულ სკოლას, რაც ერთ-ერთი საშუალება იყო დაშორებული ძმების დასაკავშირებლად. მოსახლეობას აშინებდნენ და აიძულებდნენ ბავშვები არ გაეგზავნათ სკოლაში.

ი. გოგებაშვილი თავგამოდებით იბრძოდა აჭარელთა სწავლა განათლებაზე, ამის ბევრი დასტურიც არსებობს. ის ეხმარებოდა სკოლას როგორც ფინანსურად ასევე სიტყვითა და საქმით. აჭარელთათვის შეიმუშავა და გამოსცა დედა ენის სხვა ვარიანტი რომელსაც „პატარა დედა ენა“ ეწოდა, რომელშიც გათვალისწინებული იყო, აჭარელთა ყოფა, რელიგიური დამოკიდებულებები და სხვა, რათა აჭარელ მოზარდებს შეეყვარებოდათ დედა ენა და უფრო ხალისით მოჰკიდებოდნენ მისი სწავლების საკითხს. (ალ. გობრონიძე, იაკობ გოგებაშვილი და აჭარა, 4,126).

ბათუმის სკოლის პერსპექტივას შემდეგში ხედავდა, რომ სკოლას მოემზადებინა ადგილობრივი სოფლის მასწავლებლები რომელთაც მეტი გავლენა ექნებოდათ თავიანთ სოფლებში, იმიტომ რომ მოსწავლეებს ასწავლიდნენ ქართულს ასევე ყურანსაც, რაც შეამსუბუქებდა საზოგადოების ხარჯებს და უფრო მეტი აჭარელი მოსწავლე მიიღებდა სწავლა განათლებას ქართულ ენაზე, რაც საზოგადოების მთავარ მიზანს წარმოადგენდა. აღნიშნულ საკითხის მთავარ პრობლემად სახელდებოდა მოსწავლეთა სოფლებიდან ჩამოყვანა ბათუმის სკოლაში, რადგან გლეხებს საშუალებაც არ ქონდათ ფინანსურად, ასევე შიშობდნენ არ გაქრისტიანებულიყვნენ მათი ბავშვები, ქრისტიან მოსწავლეებთან სწავლების დროს და ამის გამო არ გზავნიდნენ ბავშვებს სკოლაში. ამიტომ იაკობის აზრით სკოლები გახსნილიყო სოფლად, სადაც მუსლიმი ბავშვები ერთად ისწავლიდნენ და არ ექნებოდათ მშობლებს არანაირი შიში, ასევე სოფლად სკოლის შენახვაც იაფი დაჯდებოდა. პირველად განიხილებოდა ქობულეთში სკოლის გახსნა რის შესახებაც ი. გოგებაშვილი გამოთქვამდა მოსაზრებას. ქობულეთლებს სკოლის გახსნის საკითხი 1887 წელს დაუყენებიათ. მუშაობა დაუწყია ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და 1895 წელს ქობულეთში გახსნილა პირველი ქართული სკოლა. აღნიშნულ სკოლაზე ქობულეთის საზოგადოებასაც აუღიათ პასუხიმგებლობა. კრებაზე აურჩევიათ სკოლის მზრუნველი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ალექსანდრე არობელიძე (კინტრიძის უბნის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი), ქობულეთელი დედე-აღა ნიჭარაძე და

გულო-აღა კაიკაციშვილი. მოთხოვნები იყო ასევე სკოლის გახსნის შესახებ ქედიდანაც. ყველა ეს მოთხოვნა ცნობილი იყო ი. გოგებაშვილისათვის, რის შესახებაც წერდა: პირველი ნაბიჯი წერა-კითხვის საზოგადოების მოქმედებისა მაჰმადიან საქართველოში, ამას უნდა მოყვეს მეორე ნაბიჯი - გამართვა სკოლისა ზემო აჭარაში, მაგალითად, ქედაში, მეორე ნაბიჯს უნდა მოყვეს შემდეგი ნაბიჯები, რათა საზოგადოება მოეწიოს თავის წადილსა: განათლების მოფენას სამხრეთ საქართველოში და განახლების ძმურის კავშირისას ჩვენსა და აჭარელ-ქობულეთელთა შორის ეროვნულს ნიადაგზე.

როგორც ვხედავთ ი. გოგებაშვილი დიდ ეროვნულ მისიას აკისრებდა საზოგადოებას, აჭარაში სკოლების გახსნისას. მაგრამ იმ დროისათვის საზოგადოებას არ გააჩნდა სათანადო ხარჯები რაც საჭირო იყო სკოლების გახსნისათვის.

აჭარისა და აჭარლებისათვის იაკობმა მხსნელის როლი შეასრულა, თავისი უკვდავი დედა ენით აღადგინა "ჩატეხილი ხიდი" ძმებს შორის. დიდი ბრძოლისა და შრომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა თავის დედა სამშობლოს, რაშიც უდუდესია ი. გოგებაშვილის როლი.

უდიდეს მამულიშვილის, საზოგადო მოღვაწის, მწერალის და თავის სამშობლოზე უდავოდ შეყვარებული პიროვნების ი. გოგებაშვილის ამაგი ენით აღუწერელია სამშობლოს წინაშე. ასევე მისი ამაგი აღუწერელია ბედის უკუღმართობის გამო დაშორებული ძმების, ქრისტიანი ქართველებისა და მაჰმადიანი ქართველების დაახლოების საქმეში, ამას აკეთებდა როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხრიდან ასევე მისი პირადი ცხოვრებისეული შეხედულებებიდან. იგი როგორც მატერიალურად ასევე ფინანსურად ეხმარებოდა სკოლებს, საზოგადოებას, სტუდენტებს, მასწავლებლებს და ა. შ.

დიდი მამულიშვილი 1912 წლის ივნისში, მთელ საქართველოსთან ერთად მწარედ დაიტირა აჭარის მოსახლეობამაც თავიანთი "მხსნელი".

ი. გოგებაშვილის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა მთლიანად საქართველო, ასევე მისი კუთხის შვილებიც აჭარლებიც რაზეც მეტყველებს არაერთი წერილი, დეპეშა და ლექსი. ერთ-ერთ დეპეშაში, რომელიც ბათუმიდანაა გაგზავნილი წერია: დიდად დაგვალონა გოგებაშვილის გარდაცვალებამ, იგი იყო საუკეთესო ქართველი პედაგოგი, მოქალაქე, დაულალავი საზოგადო მოღვაწე, მებრძოლი მშობლიური ერის განათლებისათვის.

ი. გოგებაშვილის დაკრძალვაზე მწერალ სიმონ ქვარიანს უთქვამს: ვინ იყო იაკობ გოგებაშვილი? არის განა კუთხე მთელ საქართველოში, სადაც არ ასწავლიდნენ მის დედა ენას? იაკობს იცნობდნენ სპარსეთსა და ოსმალეთში მცხოვრები ქართველებიც. გამუსულმანებული ქართველნი კვებავენ თავის ეროვნულ გრძნობას და სწავლობენ ქართულ ანბანს დედა ენის შემწეობით... დიდო მოძღვარო! შესანიშნავი წიგნებით და თავდადებული მოღვაწეობით შენ აიგე კიდეც უკვდავი ძეგლი... დეე, ჩაგიკრას გულში ღირსეული შვილი შენმა ტანჯულმა სამშობლომ! შენი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენში წაუშლელი. დიდო მამულიშვილო, შენი სავანეა ქართველი ერის გული, სადაც შენს წმინდა ხსოვნას ექნება დადგმული მარად გაუმქრალი ლამპარი.

ბათუმში იაკობის დასაფლავების დღეს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ გადაიხადა პანაშვიდი.

ბათუმში ასევე გაიმართა ი. გოგებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რასაც წერს ბათუმის გაზეთი 1912 წლის 26 ივნისს.

### თავი III . მოსაზრებები დედა ენისა და ალტერნატიული სახელმძღვანელოების შესახებ

#### § 1. ზრუნვა დედა ენის დაცვისათვის

იაკობმა ნათლად განსაზღვრა ცოდნის შექმნაში სახელმძღვანელოს როლი და არსი და პრინციპი: სახელმძღვანელო ორპირი ბასრი ხანჯალია, რომელსაც შეუძლია დიდი სიკეთეც დათესოსო და დიდი სიბოროტეც ჩანერგოს სკოლისა და ხალხის ცხოვრებაში, თუ მასში იხატება სადი, გონიერი მიმართულება დამკვიდრებული პედაგოგიურ და ეროვნულ პრინციპებზე, სახელმძღვანელო აყენებს სწორე და მტკიცე გზაზე, აწარმოებს მას ნაყოფიერად და უწევს დიდ სამსახურს სკოლასაც და საზოგადოებასაც, მაგრამ თუ იგი აცდენილია პედაგოგიურ დედა აზრს, მოსაწყვეტია ეროვნულ ნიადაგს და ემსახურება რომელიმე უკუღმართ მიართულებას, ხალხის განათლების მაგიერ, მაშინ სახელმძღვანელო შეადგენს სკოლისათვის და ხალხისათვის ნამდვილ საწამლავს. ეს მოსაზრება დღესაც აქტიურად განიხილება.

დედა ენასა და ალტერნატიულ სახელმძღვანელოებს შორის სწორედ ისეთნაირი განსხვავებებია როგორც ზემოთ არის აღნიშნული.

დედა ენის სახელმძღვანელოში მოცემულ მასალებში, გათვალისწინებულია, მოსწავლეთა ასაკი, მათი ინდივიდუალური თავისებურებები, შესაძლებლობები, ინტერესები, რომელთა საშუალებითაც უადვილდება მოსწავლეს მისი ასაკის შესაბამისი სწავლის დონის მიღწევა.

მასწავლებელსაც ხომ დიდ როლს აკისრებს ი. გოგებაშვილი სწავლა-სწავლების საკითხში. ამრიგად მასწავლებელსაც უადვილდება მუშაობა ბავშვებთან დედა ენის მეშვეობით.

მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობებიც მხოლოდ ამ წიგნის საშუალებით მყარდება, როდესაც ურთიერთობა დადებითია, რადგან წიგნის გამო დისკომფორტი არ ექმნება არც მოსწავლეს და არც მასწავლებელს, შედეგიც უკეთესი იქნება.

როგორც დ. უზნაძე წერდა: ის, რაც აღმზრდელის აზრით, კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელისათვის ხშირად წვალეზად იქცევაო. სწორედ ამ გამონათქვამთანაა დაკავშირებული წიგნების შერჩევის დღევანდელი მეთოდი სკოლებში, რადგან დედა ენის ალტერნატიული სახელმძღვანელოები არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა მდგომარეობებს, შესაძლებლობებს, მოკლებულია ეროვნულ ინტერესებს, რაც ქმნის დისკომფორტს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობაში. რასაც დ. უზნაძე მოიხსენიებს აღზრდის ტრაგედიადა.

დედა ენა არსებითად წარმოადგენს სასწავლო წიგნს არა მარტო ყრმათათვის, არამედ მთელი ხალხისათვის, წიგნს უპირველესსა და უსაყვარლესს, გენიალურ შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის შემდეგ. იგი მთელ ხალხში, დიდსა და პატარაში, ახალგაზრდასა და მოხუცში ნერგავს ცოდნისადმი ღრმა ინტერესსა და სინათლისადმი ცნობიერ მისწრაფებას, ამაღლებს ხალხის წიგნიერებას, კულტურას, აფაქიზებს მის ზნეობას, ამაღლებს ხალხში პატრიოტულ გრძნობას და ნერგავს მასში უკეთესი მერმისის რწმენას.

ყველა განათლების სისტემაში ჩართული პიროვნება მოითხოვს დედა ენის შემოტანას სკოლაში. სინამდვილეში კამათი ეხება იმ საკითხს, რომ თუ ვის მიაკუთვნებენ და ვინ მიიღებს უფლებას გადაამუშავოს დედა ენის სახელმძღვანელო. ესე იგი გარკვეული პირები თუ ჯგუფები ცდილობენ, მონოპოლიურად დაეუფლონ ქართულ სიტყვას დედაენა და იაკობისეული სახელმძღვანელოს გადაამუშავებისა და გამოცემის უფლებას.

საქართველოში მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმე ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ექსპერიმენტის გარეშე უცხოეთიდან შემოტანილი სიახლეები, განათლების ექსპერტების ზერელე დამოკიდებულება და პედაგოგიური ფსიქოლოგიის უგულვებელყოფა.

იშვიათია ანბანის სახელმძღვანელო. რომელიც თავისი აგების პრინციპებითა და საფუძვლებით შეედაროს დედა ენას. დედა ენაში უდიდესი ოსტატობით და გასაოცარი ცოდნითაა განხორციელებული მოწინავე ზოგადმეთოდოლოგიური და დიდაქტიკური პრინციპები, როგორცაა სახელწოდება დედა-ენა მეთოდი, წინასწარი სავარჯიშო, დასურათება, ასო-ბგერათა რიგი, სავარჯიშო-საკითხავი მასალა, ხალხურობის იდეა, ცოდნის სიმტკიცე, შეგნებულობა აღმზრდებლობითი სწავლება და სხვა.

დედა ენა წერა-კითხვას კი არ ასწავლიდა ბავშვებს და მოზარდებს, არამედ ყოველდღიურ, მარტივ სასარგებლო ცოდნას თანდათანობით, ზომიერად გართულების შედეგად, ბუნებრივად შეჰყავდა ჩვენი ყმაწვილკაცობა ცოდნათა უფრო მაღალ სფეროში, ავითარებდა მათს გონებრივ-შემეცნებით ძალებს, კვლევისა და ძიების ინტერესებს.

1912 წელს იაკობის სიცოცხლეში უკანასკნელად გამოიცა დედა ენა. ეს იყო 33-ე გამოცემა. 1925 წლამდე გამოცემას ხელმძღვანელობდა კომისია ცნობილი პედაგოგის ლუარსაბ ბოცვაძის ხელმძღვანელობით. ამ წელს 45-ედ გამოიცა დედა ენა ტირაჟმა

1 300 000-ს გადააჭარბა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ნათელყოფს ამ ფასდაუდებელი, ეროვნული საუნჯის - იაკობ გოგებაშვილის დედა ენის განუსაზღვრელ მნიშვნელობას. იაკობი ყოველ გამოცემას ხვეწდა, ამდიდრებდა, სრულყოფდა, უფრო საინტერესოსა და შინაარსიანს ხდიდა. 1935-1943 წლებში გამოდის ი. გოგებაშვილის ანალიზურ-სინთეზური მეთოდით შედგენილი ვ. ძიძიგურისა და გვახარის დედაენა.

1943 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები უნდა აგებულიყო იაკობ გოგებაშვილის პროგრესულ მემკვიდრეობაზე, სახელდობრ მისი დედა ენის პრინციპებზე დაყრდნობით. საამისოდ შეიქმნა სპეციალური კომისია.

1944 წელს გამოიცა იაკობის დედა ენის პრინციპებზე შედგენილი დედა ენა. შემდგენლები გახლდნენ ნინო ბოცვაძე და ეკატერინე ბურჯანაძე.

1973 წლიდან მოსამზადებელი კლასებისათვის ანბანის სახელმძღვანელო დედა ენა შეადგინა პროფესორმა ვალერიან რამიშვილმა. იგი იაკობ გოგებაშვილის მეთოდიკის, მისი პროგრესული მემკვიდრეობის კარგი მცოდნე გახლდათ. შემდგომში ვალერიან რამიშვილმა ეს წიგნი პირველი კლასის სახელმძღვანელოდ გადააკეთა. 2000 წლამდე გამოდიოდა რამიშვილის მიერ იაკობის დედა ენის მიხედვით შედგენილი დასახელებული სახელმძღვანელო.

2000 წლიდან დედა ენის გადამუშავებასა და გამოცემას სათავეში ჩაუდგა ნათელა მაღლაკელიძე.

ცნობილია შალვა ამონაშვილის, ზურაბ ვახანიასა და ვახტანგ როდონიას (ხელმძღვანელი) მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები (გ. გოგოლაშვილი, ი. ავალიანი, დედა ენა - წიგნთა წიგნი, 5, 39).



1930-იანი წლების შემდეგ იაკობისეული ნამდვილი დედაენა გამოიკა მხოლოდ ორჯერ: 1980-იანი წლების ბოლოს და 2000-იან წლებში, მცირე ტირაჟით. მასწავლებლებს განათლების სამინისტრო არ უშლიდა ამ წიგნების გამოყენებას, არც ახლა უშლის, პირიქით, გასულ სასწავლო წელს მიღებულ იქნა დადგენილება იაკობ გოგებაშვილისეული დედა ენით წერა-კითხვის სწავლების შესახებ.

სამწუხაროდ დედა ენის მომურნეები ავრცელებენ აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს ამ სახელმძღვანელოთი სწავლება გაუმართლებელია — მოძველებულია ენა მართლწერის, ლექსიკისა და სტილისტიკის მხრივ, მოძველებულია ტექსტების ნაწილი, მეთოდოლოგიურ-პოლიგრაფიული მხარე წიგნის იაკობისეული დაკაბადონება, განსაკუთრებით — დაწყვეტილი სტრიქონები, თითქმის არაა შეკითხვა-დავალებები, სააზროვნო სავარჯიშოები და სხვა.

დედა ენამ განსაკუთრებული ამაგი დასდო ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებას და პირველ რიგში იმით, რომ მის ფურცლებზე მოთავსებული ყმაწვილთათვის განკუთვნილი ლექსები და მოთხრობები იდეური გამიზნულობით, სიუჟეტური წყობით, აზრის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემითა და მხატვრული სამკაულებით მაღალი ლიტერატურული ნორმის ნიმუშებს წარმოადგენს.

ყოვლად გაუმარეტლებლად მიგვაჩნია, ვითომ პირველი კლასის მშობლიური ენის გაკვეთილების მთავარი მიზანი კითხვა-წერის სწავლებაა; ვითომ ბავშვმა მშობლიური ენა ისედაც იცის, ამიტომ საჩქაროდ ინგლისურს უნდა დაეწაფოს. სინამდვილეში ბავშვი ჯერ თავის მშობლიურ ენაში უნდა გაიწაფოს, რადგან შემდეგში გაუადვილდეს უცხო ენის შესწავლა. ორი ენის ერთდროულად შესწავლა მაგონებს ქართულ ანდაზას, ორი კურდღლის მდევარმა ერთიც ვერ დაიჭირაო, სწორედაც ამ ანდაზას ჰგავს ეს მეთოდი. ამის გამო ბევრ მოსწავლეს უჭირს ორი ენის ერთდროულად შესწავლა და შემდეგ კლასებში ბავშვს მოტივაცია ეკარგება სწავლის მიმართ.

ბავშვს ჯერ დედა-ენა უნდა ასწავლო და მერე უცხო ენა, ერთი -მეორის შემდეგ. თუ ერთ დროს დააწყებინე ორივე ენის სწავლება, ბავშვს გონებას დაუბნევ, ამბობს პედაგოგთა მამამთავარი კომენიუსი. ადამიანი სიცოცხლის პირველივე დღეებიდან ხვდება გარკვეულ ენობრივ სოციუმში. ოჯახი პირველი ენობრივი გარემოა ადამიანისათვის და, ამდენად, გადამწყვეტი როლი ენიჭება ბავშვის მიერ ენის ათვისების პროცესში. ი. გოგებაშვილი საუბრობს ოჯახის ხშირად უარყოფით როლზე ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი ამბობს, რომ როდესაც ოჯახი ბავშვს აშორებს დედა-ენას და აზეპირებინებს რომელიმე უცხო ენას, იგი უბადლო მოძღვარს ართმევს ხელიდან ბავშვს და ბავშვს აბარებს უხეირო მასწავლებელს, ასე აღზრდილი ბავშვი კი განწირულია უნუგემო მომავლისათვის, ნათქვამია ბურჯი ეროვნებისაში.

თანამედროვე მეცნიერებამ აღიარა, რომ არ არსებობს ერთი უნივერსალური, ყველასთვის საუკეთესო მეთოდიკა. ამის მიზეზი ორია: კონკრეტული ენები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან; ის, რაც კარგია ერთი ენისთვის, შეიძლება არ გამოდგეს სხვანაირი ბუნების მქონე ენისთვის; და მეორე — ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან ბავშვებიც, მათი წამყვანი უნარიანობის ტიპი სხვადასხვაა.

იაკობისეულ დედაენაში მთავარია და ავტორისეულია კითხვა-წერის სწავლების მეთოდიკა. მას კი ცილს სწამებენ თითქოს ნაწილობრივ გერმანული მეთოდიკები გადმოაქართულა. სინამდვილეში კი როცა ი. გოგებაშვილი გერმანული ანბანის სახელმძღვანელოს გაეცნო დედა ენა უკვე შედგენილი ჰქონდა.

თანამედროვე მეცნიერებამ მთავარი „ოქროს წესი“ დაადგინა—მეთოდი აუცილებლად დაბალანსებული ანუ შეწონასწორებული უნდა იყოს. როგორც სახელწოდება გვეუბნება, დაბალანსება გულისხმობს ანალიზისა და სინთეზის შეწონასწორებას; აგრეთვე — ბგერაზე მუშაობისა და ასოზე მუშაობის, ანუ ფონოლოგიისა და გრაფოლოგიის შეწონასწორებას. გულისხმობს აგრეთვე

აქტივობათა დიდ მრავალფეროვნებას. დაბალანსებული ან დაუბალანსებელი შეიძლება იყოს როგორც სინთეზურ-ანალიზური, ისე ანალიზური და ანალიზურ-სინთეზური მეთოდები. მეთოდებმა სახელწოდებები მიიღო იმის მიხედვით, თუ რომელია მათთვის წამყვანი და უპირატესი — ანალიზი თუ სინთეზი.

ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს. მასწავლებელმა უნდა იმუშაოს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მხრივ, ისე ააგოს სასწავლო მუშაობა, რომ ბავშვი თავიდანე სიყვარულითა და შეგნებულად მოეკიდოს დედა ენის შესწავლას. დედა ენის სწავლების მიზანი რომ წარმატებით განხორციელდეს, ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სასწავლო მასალის მხატვრულსა და პედაგოგიურ ღირსებას, ისე მაღალკვალიფიციურ მასწავლებელს, რომელმაც რაციონალურად უნდა გამოიყენოს მასალები, პატარების მრავალმხრივი აღზრდა-განათლებისა და სათანადო ცოდნა-ჩვევით შესაიარაღებლად.

სახელწოდება დედა ენა ამ სახელწოდებაში ჩაქსოვილია დედა ენის უდიდესი მნიშვნელობა, როგორც სწავლა-აღზრდის საქმეში, ისე საზოგადოების არსებობის, ამ საზოგადოების ბრძოლასა და განვითარების საქმეში. ენა უშუალოდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, იგი ზედმიწევნით გადმოსცემს ადამიანის აზროვნების მუშაობის შედეგს და წარმოადგენს შეუნაცვლებელ საშუალებას აზრთა გაცვლა გამოცვლისას. ენის მეთოდებით ადამიანს ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთ გაგებას. ი. გოგებაშვილი ქართული ენის სიმდიდრესა და მრავალმხრივობას საქართველოს ბუნებასთან მოხდენილი შედარებებით გვისურათებს. აღიარებდა რა მშობლიური ენის უდიდეს მნიშვნელობას მოზარდი თაობების სწავლა აღზრდის საქმეში. ი. გოგებაშვილი მრავალგზის ასაბუთებდა რომ: მარტოოდენ დედა ენას შეუძლია გაუწიოს ბავშვის ბუნებას დალოცვილი გუთნის სამსახური, მხოლოდ მას ძალუძს ღრმად შეძლოს იგი, მოხნას, შეამუშაოს და ავარჯიშოს ძირფესვიანად, "დედა ენას" უდიდესი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს.

ი. გოგებაშვილის დედა ენა აგებულია ანალიზურ-სინთეზური ანუ სინკრეტული მეთოდით, რომელშიც ანალიზი და სინთეზი ერთმანეთს მისდევს. ერთმანეთს ეხმარება, სწავლას სიმდიდრეს აძლევს და უმეტესად უადვილებს მას ბავშვს. საქართველოში ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, ისე როგორც ბგერითი მეთოდების სხვა სახეობანიც დაამუშავადა სრულყოფილი სახე მისცა იაკობ გოგებაშვილმა. აღნიშნული მეთოდი კი სწორედ დედა ენის შედგენისას გამოიყენა. დედა ენის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი ასე ახასიათებს ამ მეთოდს: ჩვენი ანბანი არის შედგენილი ანალიტიკურ-სინტეტიკურ მეთოდზე, მაშასადამე იგი წარმოადგენს ერთად დაკავშირებულ მეთოდებს პირველი ჩვენი ანბანისას, რომელიც თორმეტი წლის წინათ გამოიცა და რომელშიც ანალიტიკურ მეთოდზე იყო შედგენილი და მეორისას, რომელშიც მიღებული იყო სინტეტიკური მეთოდი, დედა ენაში ანალიზურ-სინთეზური მეთოდის გამოყენების შემდეგ ი გოგებაშვილი წერდა: ჩვენი ანბანი არის შედგენილი მარტივის კონკრეტულის მეთოდზე და ეს მეთოდი ითვლება უახლეს, უკეთეს მეთოდად.

XXI საუკუნეში გრიფირებული I კლასის სახელმძღვანელოები რომელ მეთოდიკას ემყარება? ამ შეკითხვაზე გარკვეულ პასუხს მცოდნე მასწავლებლები ვერ იღებდნენ სახელმძღვანელოთა ავტორებთან საგანგებოდ წიგნების გასაცნობად და სარეკლამოდ მოწყობილ შეხვედრებზეც კი. არც მასწავლებელთათვის განკუთვნილ მეთოდიკურ სახელმძღვანელოებში წერია დასაბუთებული განმარტება. ავტორებს ზოგადად მიაჩნიათ, რომ მათი მეთოდიკა დაბალანსებულია. მაგრამ ესეც გავრცელებული მცდარი შეხედულებაა: თითქოს დაღმავალ-აღმავალი მეთოდიც და აღმავალ-დაღმავალი მეთოდიც თავისთავადაა დაბალანსებული. ამ შეხედულებაში ორი შეცდომაა:

მეთოდში ხშირად არ არის ხოლმე საკმარისი მუშაობა ანალიზზე ან სინთეზზე. მაგ., საქართველოში საყოველთაოდ დამკვიდრებული სინთეზურ-ანალიზური მეთოდი ანალიზს კი მოიცავს, მაგრამ ძალიან არასაკმარისად — არაა ანალიზის სავარჯიშოთა

სისტემატური და სისტემური, მიზანმიმართული თანწყობა. ასევე, პირიქით, ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, შესაძლოა, საკმარისად არ მოიცავდეს სინთეზის სავარჯიშოებს.

ანალიზისა და სინთეზის შეწონასწორების დროსაც კი მეთოდი შეიძლება არ იყოს დაბალანსებული — ვინაიდან მეთოდში ფონეტიკა და გრაფიკა არ იყოს დაბალანსებული: მეთოდი არ მოიცავდეს საკმარის ფონოლოგიურ სავარჯიშოებს. ამასთან, ფონოლოგიური აქტივობის მხოლოდ ცნებასაც კი ვერ გაიაზრებს ის, ვინც აზროვნებს ტრადიციული მცდარი ტერმინით „ასო-ბგერა“.

სინამდვილეში როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე გრიფირებული მეთოდები ძალიან დაუბალანსებელია — მათში წონასწორობა ძლიერ დარღვეულია: სინთეზი და გრაფიკა მეტისმეტად სჭარბობს ანალიზსა და ფონოლოგიას; მუშაობა მხოლოდ ცალმხრივ სინთეზზე და ცალმხრივ გრაფოლოგიაზეა, ხოლო ანალიზი და ფონოლოგია მეტისმეტად მცირედაა, ან სულ არაა.

წინასწარი ვარჯიში მეთოდით, წერა-კითხვის სწავლებისას წინ უსწრებს მოსამზადებელი მუშაობა, წინასწარი ვარჯიში, რომლის მიზანია ბავშვების შეჩვევა სკოლის გარემოსთან და მათი მომზადება წერა-კითხვისათვის. წინასწარი მოსამზადებელი ვარჯიში აუცილებელი საფეხურია წერა კითხვის სწავლების საქმეში.

ი. გოგებაშვილის დედა ენის დასურათება მჭიდროდაა დაკავშირებული "ნორმალურ" სიტყვასთან. ნორმალური სიტყვა კონკრეტული საგნის სახელი არსებითი სახელია. ქართულ სინამდვილეში "ნორმალური" სიტყვა პირველად ი. ისარლივილიმა გამოიყენა, მაგრამ სრულყოფილი სახით ის იაკობ გოგებაშვილის დედა ენაშია მოცემული. ნორმალური სიტყვის შერჩევა დიდ პედაგოგიურ ალღოსა და ცოდნას მოითხოვს, ნორმალური სიტყვის შერჩევაზეა დამოკიდებული კითხვის სწავლების რიგიანად წარმართვა. დედა ენაში მოცემული ნორმალური სიტყვები

ბავშვებისათვის ნაცნობი და მისაწვდომია. რომელთა უმრავლესობა შემადგენლობით მარტივია. არიგად, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რო ეს სიტყვები აკმაყოფილებენ ნორმალური სიტყვისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

იაკობ გოგებაშვილის პირველი სახელმძღვანელო (1865 წლის გამოცემა) ანალიზურ მეთოდზე იყო აგებული. მაგრამ 1876 წლიდან იაკობმა ანალიზური მეთოდი ანალიზურ-სინთეზურით შეცვალა. რასაც დიდი პედაგოგი თავად ხსნის: თავის დროზე ჩვენ ავხსენით, რა გარემოებებმა და მოსაზრებებმა გაგვხადა იძულებული, მიგვეტოვებინა უფრო ძნელი, ანალიტიკური მეთოდი და მიგვეცა უპირატესობა უფრო ადვილი სინტეტიური მეთოდისათვის. ეს მიზეზები იყვნენ: შინაური ხასიათი სწავლებისა და სრული უმეცრება ჩვენი სახლობის სფეროსა სწავლების ხელოვნებაში, მცირე რიცხვი შკოლებისა, მათი მოუწყობლობა და მტკნარი უხეირობა მასწავლებელთ პერსონალისა, რომლებიც შედგებოდა პრიჩეტკინებიდან და მღვდლებიდან. ეს საბუთები ეხლა აღარ არსებობენ. სწავლება უმეტეს ნაწილად გადავიდა სახლებიდან შკოლებში, ამ შკოლებში მასწავლებლობა დაიჭირეს ყმაწვილმა კაცებმა, რომლებიც ბევრათ თუ ცოტათ მომზადებულნი არიან თავისი თანამდებობის ჯეროვანი აღსრულებისათვის და რომელთაც მარჯვე მოხმარება რთული მეთოდისა ძლიერ არ უნდა გაუჭირდეთ. ამიტომ ჩვენ დროიანად დავინახეთ დავბრუნებოდით ანალიტიკურ მეთოდსა და მასთან იგი დაგვეკავშირებინა სინტეტიურ მეთოდთან. მაგრამ რადგანაც სპეციალისტები თითქმის არ მოგვეპოვებინა ჩვენ ხალხურ შკოლებში მასწავლებელთა, ამიტომ ანბანის მეთოდი უნდა მიგვეყვანა სიადვილის უკანასკნელ ხარისხამდის. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმ აზრით, რომ ხარისხი სწავლების მეთოდის სარგებლობისა პირდაპირ დამოკიდებულია მის მარჯვედ მოხმარების სიადვილეზედ და უკეთესი მეთოდი უარესზედ მავნებელია და გადამრევი ბავშვების გონებისათვის, თუ მისი ხეირიანად მოხმარება შეუძლებელია სპეციალურად მოუმზადებელ მასწავლებელთათვის ერთი პრაქტიკული დაბრკოლებაც ემატება ყველა ამას. ასოების

შესწავლის შეწყვეტა რამდენსამე ადგილას, ლექსების და მოთხრობების ჩამატებით, კითხვის სწავლებას თითქმის მთელ წელიწადს გაუჭიანურებს და ეს ძალიან არ ეპიტნავება გლეხსა, რომელსაც სურს რომ ბავშვმა, შემოდგომაზედ შემოსულმა, საშობაოდ მაინც გაათაოს ანბანი, კითხვა ისწავლოს. ეს გარემოება ყველა ანბანის შემადგენელს უნდა თვალწინა ჰქონდეს, თორემ შეიძლება ხალხს გაუქარწყლდეს ის სუსტი სურვილიც შვილების სწავლებისა, რომელსაც ეხლა მასში ვხედავთ.

აი, როგორი მიზეზებითა და საფუძვლით ჩამოყალიბებულა ანალიზურ-სინთეზური მეთოდი. არსებითად — იძულებით. როგორც იაკობი თვითონ წერს, მოუმზადებელი მასწავლებლის ხელში ანალიზური მეთოდი ვერ ამართლებს მაშინ კი მასწავლებელთა ტრენინგების ჩატარების არავითარი საშუალება, არ არსებობდა; მით უმეტეს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა მაშინ არაპროფესიონალი იყო, ძირითადად მხოლოდ წერა-კითხვა და ანგარიში იცოდნენ. ანალიზური მეთოდები საუკეთესოა მოსწავლისთვის, ყველაზე სახალისოა, რადგან კითხვა სანახევროდ თამაშ-თამაშით ისწავლება; მოსწავლეებს ყველაზე მეტად შეაყვარებს წიგნს; მაგრამ — რთულია და ძნელია მასწავლებლისთვის. ამის გარდა, ანალიზური მეთოდი ძვირადღირებულია, რადგან აუცილებლად სჭირდება დიდძალი თვალსაჩინოება, მათ შორის — დიდი ფორმატის ფურცლებზე მსხვილად დაბეჭდილი ტექსტები ან ძალიან დიდი ფორმატის წიგნები. ამიტომ გახდა იძულებული იაკობი, რომ იმ დროისათვის პრაქტიკულად უფრო გამართლებული ანალიზურ-სინთეზური მეთოდი აერჩია.

სამწუხაროდ, უცოდინრობის გამო, სახელმძღვანელოთა ავტორები და მასწავლებლები ამ კარგ მეთოდს ცვლიან სინთეზურ-ანალიზური მეთოდით. მაგრამ იაკობს სიცოცხლის ბოლომდე მიაჩნდა, რომ სინთეზურ-ანალიზური მეთოდი ცუდია, ანალიზურ-სინთეზური — კარგი, ხოლო საუკეთესო კი ანალიზური მეთოდია. XXI საუკუნის მეცნიერებამ სრულად დაადასტურა და კიდევ უფრო გააღრმავა იაკობ გოგებაშვილის ეს შეხედულება.

იაკობისეულ დედაენაში, არა მარტო სახელწოდება და პირველი გაკვეთილი „ია, აი ია“ არის, არამედ მასში წარმოდგენილი ქართული ენის სამყარო, ეროვნული, ეკოლოგიური და ზნეობრივი ღირებულებები; თანაც ეს ღირებულებები არა აბსტრაქტულ-პუბლიცისტიკური ტერმინებითა და ყალბად სამეცნიერო მსჯელობებითაა გადმოცემული, როგორც ამჟამინდელ წიგნებშია, არამედ დიდოსტატი მასწავლებლის გუმანით — ბავშვისთვის მისაწვდომი, ბუნებრივი და ხალასი თვალსაჩინო შინაარსით; ზღაპრებით, ლექსებითა და მოთხრობებით; საქართველოს ბუნებისმცოდნეობის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის საწყისების ცოცხლად და ლამაზად გაერთიანებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამაში. სწორედ ესაა ქართულენოვანი სამყაროს საფუძვლების აგება. დედაენა, ბუნების კარი და საქართველოს შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მოთხრობები არა მარტო პატარების, არამედ მთელი ხალხის სახელმძღვანელოებად გახდა. სამწუხაროდ, არც ერთი თანამედროვე სახელმძღვანელოს ავტორი არც კი ცდილობს, რომ იაკობისეულ ორიგინალურ და მშვენიერ სასწავლო პროგრამასა და სახელმძღვანელოებს დაუახლოვდეს. სამაგიეროდ, ებლაუჭებიან ვითომ ანალიზურ-სინთეზურ, სინამდვილეში კი გაფუჭებულ, სინთეზურ-ანალიზურ მეთოდს, სამაგიეროდ, ჭარბადაა გლობალისტური სიყალბეები.

ამრიგად ძია იაკობის დედა ენით სწავლება უმნიშვნელოვანესია სწავლა-სწავლების პროცესში, რადგან მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური შესაძლებლობები, რაც არის წინაპირობა რომ მივაღწიოთ სასურველ შედეგს, როგორც მოსწავლემ ისე მასწავლებელმა.



## § 2. საჯარო სკოლებში ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი

დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მთელი ცხოვრება ეს იყო ზრუნვა დედა ენის დაცვისათვის. უფრო მეტი ძალა და ენერგია მოვანდომე დედა ენის დაცვას, ვიდრე მის შექმნასო-ამბობდა ერის მოძღვართმოძღვარი. მართალია დედა ენამდე არსებული ანბანის სახელმძღვანელოები კონკურენციას ვერ უწევდნენ დედა ენას, მაგრამ ბრძოლა მის დასაცავად მაინც უწევდა იაკობს.

თედო სახოკია ამბობდა: ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივყრილი ოჯახებში, არისტოკრატისა და ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოდება, თავმოსაწონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, თითებზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულად აზროვნებდა და რუსულადვე მეტყველებდა.

და აი, ასეთ განწირულ დროს გამოდის ი. გოგებაშვილი თავისი დედა ენით და ცდილობს იმის საშუალებით შესულიყო სკოლებში ქართული ენა, მოსწავლეს მშობლიური ენის შეთვისების საფუძვლად დედა ენა ჰქონდა, სამირკველი მისი თვალის ახელას, გაადამიანებას დედა ენის საშუალებით ჩაჰყუროდა. ჩვეულებით ბუნებრივი გახლავთ, რომ ი. გოგებაშვილს თავისი დედა ენა მიეჩნია ქართველისათვის ეროვნული სახის შენარჩუნების საშუალებად და ვინაც ამ წიგნის საწინააღმდეგოს რასმე იტყოდა, გამოეცხადებინა ქართული ენის, ყოველივე ქართულის მტრად, საქართველოს ძირის გამომთხრელად.

დედა ენა ხელს უშლიდა იმ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი სახელმძღვანელოები შეადგინეს და ცდილობდნენ დედა ენის სანაცვლოდ დამკვიდრებას. გამჭრიახი, ნათელი აზრის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები კარგად აცნობიერებდნენ დედა ენის ღირსებას და მის ფასდაუდებელ მნიშვნელობას, ამიტომაც დედა ენას ამჯობინებდნენ მათ ნაცვლად. საანბანე სახელმძღვანელოების ავტორები-ზ. გულისაშვილი, ი.როსტომაშვილი, ალ. ბასაძე, გ. ბურჭულაძე, მ. ნათიძე და სხვები კი ამის გამო იაკობს ებრძოდნენ.

დიდი პედაგოგი ი. გოგებაშვილი ღირსეულად იცავდა დედა ენას. იგი ობიექტური მოღვაწის თვალთ აფასებს თავის უკვდავ ქმნილებას. იაკობი წერდა: დედა ენა დაუთმობს ადგილს არა რომელსამე ლატაკს წიგნსა, არამედ იმისთანაც, რომელიც უფრო მდიდარი იქნება მასზედ, იქნება უფრო სრული სახელმძღვანელო კითხვისა დაწერისა ერთად, უფრო უკეთესად დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას იქითა და აქეთა საქართველოსას. საერო და სამრევლო სკოლებთან ერთად და უფრო მეტად დაეხმარება გაერთიანებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების. და აი, ამისთანა სახელმძღვანელოს შემდგენელს სრულს ნებას ვაძლევთ ისარგებლოს დედა ენის მასალით რამდენიც ნებავდეს

აღნიშნულ ამონარიდში ნათლად და ცხადად ჩანს დიდი ერისკაცის საზოგადოებრივი ინტერესები. "მართალია ჩვენ მტკიცედ ვიცავდით ჩვენს სახელმძღვანელოებს ქართულის ენისას მტრული მოქმედებისაგანამბობს იაკობი, მაგრამ "კვალის" რედაქცია დედა ენის წინააღმდეგ აქტიურობდა "კვალი" ვერ დაგვისახელებს ვერც ერთს შემთხვევას, როდესაც კი ამ დაცვას არ მოითხოვდა თვით ინტერესებს ქართული ენისა.

სწორედ ეს ინტერესი, ქართული ენისა, იყო იაკობისათვის უპირველესი და მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მუხლჩაუხრელად, რუდუნებით, მთელი არსებით მას ემსახურებოდა

ათეული წლების განმავლობაში ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მხოლოდ ი. გოგებაშვილის დედა ენით ისწავლებოდა წერა-კითხვა. ბოლო წლებში, დამოუკიდებელ საქართველოში ინტენსიურად მიდინარეობს განათლების რეფორმა რომელმაც ბევრი სიახლე მოიტანა. სწორედ განათლების რეფორმამ დააყენა დღის წესრიგში ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, ცნობილია დედა ენის რადენიმე ალტერნატიული ანუ პარალელური სახელმძღვანელო: ვახტანგ როდონაიას (ჯგუფის ხელმძღვანელი), ზურაბ გახანიას, ვახტანგ ახიაშვილის, ნესტან კუპრაძის და სხვების.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ნორმალური მოვლენაა ახალი სახელმძღვანელოს შექმნა, მაგრამ გასარკვევია რამდენად აკმაყოფილებს ეს წიგნები ანბანის სახელმძღვანელოების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და რა გზით შედიან ისინი სკოლებში.

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო კვლევის გზით შეგვესწავლა და დაგვედგინა, როგორია მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების და მშობლების აზრი და შეხედულება დედა ენისა და მისი ალტერნატიული სახელმძღვანელოს შესახებ.

კვლევას ვაწარმოებდი აჭარის საჯარო სკოლებსა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტში.

კვლევის ობიექტები:

- სკოლის პედაგოგები
- სკოლის მოსწავლეები
- სტუდენტები
- მშობლები

კვლევას ვაწარმოებდი ონლაინ რეჟიმში ინტერვიუს მეთოდით. ხულოს მინიციპალიტეტის სოფლების ტუნაძეების, თაგოს, საციხურის, ჩაოს, პაქსაძეების, აგარის საჯარო სკოლებში. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების ფერიის, ჩხუტუნეთის, განთიადის, ჩაისუბნის, ახალშენის საჯარო სკოლებში. ქობულეთის მინიციპალიტეტის სოფლების ციხისძირის, წყავროვის და ქობულეთის N-1 საჯარო სკოლებში. შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლების ჩანჩხალოს, ჭალის და ნიგაზეულის საჯარო სკოლებში. ქალაქ ბათუმის N-1, N-7, N-20, N-3, N-15 საჯარო სკოლებში. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა ანბანის რომელ სახელმძღვანელოს ანიჭებენ უპირატესობას, პედაგოგები, მოსწავლეები, სტუდენტები და მშობლები.

კვლევის ჩატარების დროს გვექონდა წინასწარ შედგენილი კითხვარები ცხრილების სახით, რომელთა საშუალებით ვაწარმოებდი გამოკითხვას. რომლებიც გავუგზავნე რესპოდენტების ნაწილს ელექტრონულად, ნაწილს კი პირადად შევხვდი და ვაწარმოე გამოკითხვა.

კვლევის შედეგები ასეთია:

გამოკითხულ იქნა 100 პედაგოგი, 40 მოსწავლე, 50 სტუდენტი და 30 მშობელი.

გამოკითხულ 100 პედაგოგიდან 92-მა იაკობ გოგებაშვილის დედა ენა მიიჩნია საუკეთესო, უალტერნატივო სახელმძღვანელოდ.

8 პედაგოგმა შესაძლოდ ჩათვალა დედა ენის შეცვლა, მხოლოდ როდონაიას ხელმძღვანელობით შედგენილი სახელმძღვანელოთი.

ცხრილი N 1

რომელი სახელმძღვანელოებით უნდა	მასწავლებელი
ისწავლებოდეს საჯარო სკოლებში წერა-კითხვა?	100
ი. გოგებაშვილის „დედა ენით“.	92
როდონაიას ხელმძღვანელობით შედგენილი „დედაენით“.	8
სხვა ალტერნატიული	0

სახელმძღვანელოთი.	
-------------------	--

30 მშობლიდან, 25-მა ი. გოგებაშვილის დედა ენას მიანიჭა უპირატესობა, ხოლო 5-მა მშობელმა როდონაიას დედა ენის სახელმძღვანელოს

ცხრილი N 2

ანბანის რომელი სახელმძღვანელო შეიძლება დამკვიდრდეს საჯარო სკოლებში?	მშობელი 30
იაკობის „დედა ენა“.	25
როდონაიას „დედაენა“	5
სხვა ალტერნატიული სახელმძღვანელო	0

40 მოსწავლიდან 32-მა უპირატესობა ი. გოგებაშვილის დედა ენის სახელმძღვანელოს მიანიჭა. 8 მოსწავლემ კი ალტერნატიულ სახელმძღვანელოს.

ცხრილი N3

თქვენი სურვილის შემთხვევაში ანბანის რომელ სახელმძღვანელოს აირჩევდით	მოსწავლე
---	----------

ქართული წერა-კითხვის შესასწავლად?	40
იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“.	32
ანბანის სხვა სახელმძღვანელოს	8

50 სტუდენტიდან 43-მა სტუდენტმა უპირატესობა დედა ენის სახელმძღვანელოს მიანიჭა. 7-მა სტუდენტმა კი ალტერნატიულ სახელმძღვანელოს.

ცხრილი N4

როგორ ფიქრობთ, ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეიძლება თუ არა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ შეიცვალოს ანბანის სხვა სახელმძღვანელოთი?	სტუდენტი 50
იაკობის „დედა ენა“ ქართველი ხალხის ეროვნულ საუნჯეს წარმოადგეს. იგი არ უნდა შეიცვალოს ანბანის სხვა სახელმძღვანელოთი.	43
შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ „დედა ენის“ დარი ანბანის სახელმძღვანელოთი.	7
სულ	220 რესპოდენტი

კვლევის შედეგების ანალიზით დგინდება, რომ იაკობ გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოების შედევრი დედა ენა მართლა უალტერნატივოა. ამიტომ იყო, რომ ქართველა ერმა მხოლოდ ორ წიგნს ვეფხისტყაოსანსა და დედა ენას გადაუხადა იუბილე, ხოლო უკვდავ დედა ენას ძეგლიც დაუდგა.

### დასკვნები და რეკომენდაციები:

გამოყენებული ლიტერატურული წყაროებისა და ჩემს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბე შემდეგი სახის დასკვნები და რეკომენდაციები:

- ფართო და მრავალმხრივია ქართული პედაგოგიკის კლასიკოსის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლის, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, კრიოტიკოსისა და ნიჭიერი ორგანიზატორის იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებრივი საქმიანობა. განსაკუთრებით ღრმა და განუზომელია მისი ღვაწლი მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებაში. მარტო დედა ენა და ბუნების კარი, ეს ორი ბრწყინვალე წიგნი მოსავეს მის სახელს უქცნობი შარავანდედით. მათში მოჩანს მისი პედაგოგიური აზროვნებისა და შ ემოქმედების მაღალი მწვერვალი.

- დედა ენის ყოველი სიტყვა გამთბარია ბავშვის უსაზღვრო სიყვარულით, მისი ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით, ჰუმანიზმითა და პატრიოტიზმით. წიგნში ლექსს მოთხრობა ცვლის, იგავ-არაკს ზღაპარი ენაცვლება, გამოცანას ანდაზა. მთელი წიგნი კი ერთ ჰარმონიულ მთლიანობას წარმოადგენს. ამიტომაც აქვს მას ასე დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

დედა ენა მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, დამკვიდრდეს რადგან როგორც იაკობი აღნიშნავდა საძირკველი განათლებისა არის წერა-კითხვის ცოდნა, ხოლო ამ საძირკველის ჩადგმას, უპირველეს ყოვლისა ეხმარება გონივრულად, მარჯვედ, ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნით შედგენილი დედა ენა, რომელსაც უდიდესი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და მეტად მნიშვნელოვანია წერა-კითხვის სწავლების პროცესში. ამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ ი. გოგებაშვილის დედა



ენის გამოცემიდან 145 წელი გავიდა, მაგრამ ამ ჯადო წიგნს ამ ხნის განმავლობაშიც არ დაუკარგავს აღმზრდელი მნიშვნელობა, და არა თუ დაკარგა, არამედ უფრო ძლიერდება მის მიმართ ინტერესი, იგი დღესაც ანბანის სახელმძღვანელოების შედევრად ითვლება. ამიტომ არის ის ქართველი ერის ფასდაუდებელი, ეროვნული საუნჯე.

დედა ენამ თავისი არსებობის მანძილზე ცვლილებების მრავალი გზა გაიარა და დღეს XXI საუკუნეშიც, როგორც ითქვა, დიდ ინტერესს იწვევს. ვერც ერთმა ალტერნატიულმა სახელმძღვანელომ ვერ გაუძლო ჟამთა სვლას, ეს ხვედრი მხოლოდ დედა ენას ხვდა წილად.

- გამოცემის დღიდან მიმდინარეობდა ი. გოგებაშვილის და მისი დედა ენის დევნა და შევიწროება, რაც დღემდე გრძელდება, მაგრამ ეს წიგნი ისეთი პედაგოგიურ-მეთოდური და დიდაქტიკური მოთხოვნების გათვალისწინებით არის შედგენილი რომ მარად უკვდავებას მაინც ინარჩუნებს, ამდენი ბრძოლის მიუხედავად.

- ამრიგად აუცილებელია იაკობ გოგებაშვილის დედა ენით სწავლება, რადგან ის ისეთი სინატიფით, საინტერესოდ, მოსწავლის ინტერესებზე მორგებული, მარტივად და გასაგები ენით არის გადმოცემული მასალა, რომ ის პირველსავე დღეს უქმნის მოსწავლეს მოტივაციას სწავლის მიმართ, რადგან ყველაფერი ნათლად, სიყვარულით და სიმარტივით არის გადმოცემული. ამ პროცესში ხდება დაახლოება მოსწავლესა და საყვარელ დედა ენას შორის. რაც დიდად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმატებულად წარმართვისათვის.

ძია იაკობიას უძვირფასესი წიგნი დედა ენა არის ერისა და ენის ბურჯი, რომელზედაც დგას ქართველობა. რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მომავლის ღირსეული მოქალაქის, ჰუმანური, ზნემაღალი, ტოლერანტი პიროვნების, ეროვნული, სულისკვეთებით დამუხტული მამულიშვილის აღზრდა.

ი. გოგებაშვილს უამრავი პატრიოტული, ჰუმანური, მეგობრული, სამართლიანი ნაწარმოები აქვს დედა ენის წიგნით გადმოცემული, რომელთა გააზრებითა და აღქმით შესაძლებელია მომავლის ზნეობრივად აღზრდა, რაშიც ჩვენ პედაგოგებს გვაკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა, რადგან ეს უძვირფასესი ნაწარმოებები მოსწავლეთა გულებთან მივიტანოთ და ჩავუნერგოთ მომავლის ქართველებს, რომელთა მხრებზე უნდა აშენდეს მომავალი საქართველო.

- ზნეობრივად პიროვნების აღზრდას დიდი შრომა ჭირდება, ეს ხანგრძლივი პროცესია, რაშიც ძალიან დიდად დაგვეხმარება მია იაკობის საუკეთესო დედა ენა და მასწავლებლის დაუღალავი შრომა.

ზოგჯერ პედაგოგი ვერ აღწევს სასურველ შედეგს, მოზარდის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს სახელმძღვანელოს არასწორი შერჩევით, რომელიც შეიძლება არ იყოს მორგებული მოსწავლეთა განვითარების დონესთან, მათ ინდივიდუალურ თავისებურებებთან. შესაძლებელია პროგრამული მასალა იყოს რთულად გადმოცემული, რაც ხელს უშლის მასწავლებელს დასახული მიზნის, სასურველი შედეგის მიღწევაში. ხშირ შემთხვევაში ეს გარემოება გამოწვეულია დედა ენის იმ ალტერნატიული სახელმძღვანელოების გამო, რომლებსაც დედა ენის ნაცვლად, ალტერნატიულ სახელმძღვანელოდ იყენებს ზოგიერთი მასწავლებელი.

კვლევა რომელიც ჩავატარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების პედაგოგების, მოსწავლეების, მშობლების და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, ნათლად აჩვენა, რომ პედაგოგები, სტუდენტები, მშობლები და მოსწავლეების უმრავლესობა უპირატესობას ი. გოგებაშვილის დედა ენით სწავლებას ანიჭებს. ისინი აღნიშნავენ რომ მხოლოდ დედა ენის სახელმძღვანელოთია შესაძლებელი კარგი მოქალაქეების, ღირსეული მამულიშვილების აღზრდა.

ამით მე ვიძლევი მოკრძალებულ რეკომენდაციას, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, გამოადგებათ და სასარგებლო სამსახურს გაუწევთ პედაგოგებს და განათლების დარგის მომავალ სპეციალისტებს. ამ დარგით დაინტერესებულ ადამიანებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაბილოძე გრ. სახალხო განათლება აჭარის ასსრ-ში 1921 – 1957 წწ. ბათუმი, 1958.
2. ბასილაძე ნ. ქართული პედაგოგიკის ისტორია. ბათუმი, 2013 .
3. ბასილაძე ნ. ნარკვევები პედაგოგიური აზროვნების ისტორიიდან, ბათუმი, 2007.
4. გობრონიძე ა. იაკობ გოგებაშვილი და აჭარა, ბათუმი, 2000.
5. გოგებაშვილის „დედა ენის“ 100 წელი. თბილისი 1976.
6. გოგებაშვილი ი. თხზ. ტ. 3, თბილისი, 1980.
7. გოგებაშვილი ი. თხზ. ტ.9, თბილისი, 1965.
8. გოგებაშვილი ი. თხზ. ტ 4, თბილისი, 1955
9. გოგებაშვილი ი., საგანძური, თბილისი, 1981.
10. გოგოლაშვილი გ. ავალიანი ი. „დედაენა“ - წიგნთა წიგნი, თბილისი, 2001
11. იაკობის სამრეკლო, შემდგენლები თითმერია ჯ., ჩილაჩავა ზ. თბილისი, 1990.
12. ჟურნალი, სკოლა და ცხოვრება. თბილისი, 1990.

13. ჟურნალი, სკოლა და ცხოვრება. დამატებითი გამოცემა (დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა). თბილისი 1990.
14. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის. თბილისი. 2003.
15. ინტერნეტრესურსი: [www.wikipedia.com](http://www.wikipedia.com)